ხალხის ქომაგი

გოგია ღლონტი

თბილისი - 1991

თითქმის შვიდი ათეული წლის დუმილის შემდეგ, თამამად შეგვიძლია მოვიხსენიოთ გოგია (გიორგი) ღლონტის სახელი, რომელმაც 1923 წელს, მას შემდეგ, რაც ბოლშევიკური ხელისუფლების სატრაპმა ალექსანდრე ობოლაძემ გურიაში მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დარბევა და ჟლეტა მოაწყო, სტიქიურად გამოხატა რა გურიის მშრომელი ხალხის აზრი ახლადმოვლენილ დიქტატორზე, ფიზიკურად გაუსწორდა მას.

გოგია ღლონტი ჭეშმარიტი რაინდი იყო, რომელმაც მეტეორივით გაიელვა საქართველოს ცაზე დამდგარ წყვდიადში და მძლავრ პროტესტად გაისმა წითელ იმპერიაში.

ეს ნაშრომი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის გოგია ღლონტის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ნაშრომის სრულყოფისათვის, რომელიც ამ წიგნის მკითხველთა შენიშვნების გათვალისწინებით მომავალში წარუდგება საზოგადოებას.

შემდგენელი ენვერ გოგუაძე
გამომცემელი - გოგია ღლონტის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოება
გამოცემის სპონსორები: ლანჩხუთის სამრეწველო-კომერციული ფირმა „თაიგული“ (პრეზიდენტი ანზორ კილაძე) და ოზურგეთის დამზადების გაერთიანების შემფუთავი ქარხანა (დირექტორი აბელ სკამკოჩაიშვილი).

სატრაპი და უპირველესი ტერორისტი

1941 წლის 6 ივლისს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზებაში ბრალდებულის დიმიტრი ჯაშის მეუღლემ დარია ჯაშმა დაკითხვისას განუცხადა „ჩეკას“ წარმომადგენელს:

„მე დიმიტრი ჯაშმა შემირთო ძალით. მას ჩემს შერთვაში დაეხმარა საშა ობოლაძე... მან გამიტაცა ყაჩაღებით... იმერლიშვილი და ობოლაძე ხშირად დადიოდნენ დიმიტრისთან. დიმიტრი (მათ) ნახაზს უკეთებდა“ (სახალხო განათლება. 1990 წ. 26 აპრილი).

საშა ობოლაძე და იმერლიშვილი ამ ნახაზების მიხედვით ბანკებს ძარცვავდნენ. „ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციას“ ასახიერებდნენ.

კაცის მკვლელთა ორდენის აქტიური წევრი, უბადლო ტერორისტი და დარია ჯაშის დაკითხვის ოქმში „მესისხლე ფურიად“ მოხსენიებული საშა კიმოთეს ძე ობოლაძე დაიბადა 1884 წელს, რაჭის მაზრის სოფელ სხვავაში.

ოზურგეთის მაზრის მომავალი სატრაპი ერთხანს ოზურგეთში ეწაფებოდა „პირველდაწყებითი“ განათლების ანბანს. „ურწმუნო ვითარცა თურქი“ ალ. ობოლაძე იგონებს: „... ბიძამ წამიყვანა ოზურგეთში, სადაც ის მასწავლებელი იყო სამოქალაქო სასწავლებელში.“ ობოლაძე 1900 წლამდე დარჩენილა ოზურგეთს. “1900 წელს თბილისში ჩამოვედი სწავლის გასაგრძელებლად“, - აღნიშნავს მომავალი ყაჩაღი და ტერორისტი.

1901 წლიდან ალ. ობოლაძემ მუშაობა დაიწყო ასოთამწყობად. ასე მოხვდა ის ყველაზე რევოლუციურად განწყობილ ხალხში - მესტამბეთა წრეში. ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში დამოძღვრილი აქ გაეცნო და დაუკავშირდა გურულ რევოლუციონერებს: გაბრიელ ურუშაძეს, ვასო ურუშაძეს, ხოლო შემდგომ - 1903 წლიდან - ვანო ბოლქვაძეს.

დარია ჯაში, რომელიც ცოლისძმის ხელით მოკლულ მეუღლესთან ერთად დიდად თანაუგრძნობდა ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთ ძირითად მკვლელს ფილიპე მახარაძეს, საშური კეთილგანწყობითაა დაკავშირებული ბოლშევიკური საქართველოს სისხლიანი სატრაპისა და ხალხის ჯალათის საშა ობოლაძის მიმართ. მისი დახასიათებით: „საშა ობოლაძე სწორუპოვარი ვაჟკაცია". იგი „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს". „საშა ობოლაძე - აღნიშნავს დარია ჯაში, - იყო მაღალი, წარმოსადეგი ვაჟკაცი. იცვამდა ელეგანტურად. გამოწყობილი იყო ევროპულ კოსტუმში. ჰქონდა საშუალო განათლება. თავისი გამოსვლით, ჟესტიკულაციით, ქცევით, დინჯი და აუჩქარებელი საუბრით ამერიკელი ჯენტლმენი გეგონებოდათ. იყო გაბედული, უშიშარი, მუდამ შეიარაღებული დადიოდა. ტერორისტული აქტები მას ბევრი ჰქონდა ჩადენილი. მიტაცებულ მსხვილ თანხას მარტო თავისთვის როდი იყენებდა. ღარიბ მუშებს ეხმარებოდა. საერთოდ გამიგონია, რომ მისი სამოქმედო დევიზი იყო მდიდართა და შეძლებულთა კლასის წარმომადგენლების გაძარცვა და ღარიბი მუშებისათვის დახმარების აღმოჩენა და არა კერძო ეგოისტური მიზნებით მოქმედება. მახსოვს ისიც, რომ როცა საშა ობოლაძე ციხეში იყო, მას ცოლი წაართვა თბილისის პოლიცმეისტერმა. ეს ქალი იყო არაჩვეულებრივი სილამაზის, ნამდვილ მადონას წააგავდა. პოლიცმეისტერმა რამდენიმე თვის შემდეგ მიატოვა ეს ქალი და უმწეო მდგომარეობაში დატოვა. ციხიდან გამოსული ობოლაძე მიხვდა თუ რა იძულება შეუქმნა უმწეო მდგომარეობაში მყოფ ქალს პოლიცმეისტერმა. ობოლაძე თავს დაადგა პოლიცმეისტერს იარაღით. პოლიცმეისტერმა იგრძნო ვისთანაც ჰქონდა საქმე... ობოლაძის დაკვეთით ქალზე ჯვარი დაიწერა და „კანონიერ" ცოლად შეირთო" (დარია ჯაში, მოგონებები, გვ. 94).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აწ განსვენებულმა პ. გუგუშვილმა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ერთ-ერთ ეპვმიტანილს, განსვენებული მგოსნის მამულების მოურავს „დიმიტრი ჯაშს წაუყენა ბრალდება აგრეთვე

იმისა, რომ თითქოს 1905-1906 წლებში დიმიტრი ჯაში მონაწილეობდა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის გაძარცვაში, რომლის ოპერაციას ხელმძღვანელობდა საშა ობოლაძე, რომელიც 1923 წელს სოფელ ლიხაურში მოკლა გოგია ღლონტმა.“ (დარია ჯაშის მოგონებები, გვ. 93).

ობოლაძის კავშირს გურულ ტერორისტებთან ცხადყოფს ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული „სამსონ გაბრიელის ძე მდინარაძის საქმე“. ხსენებული საქმის თანახმად სამსონ მდინარაძე „1900 წელს სტეპულ ინწკირველთან ერთად სამუშაოდ მიდის ბაქოში, საიდანაც ის უკვე იწყებს არალეგალურ მუშაობას. ორგანიზაციის დავალებით გადადის ბათუმში, რატმილდის ქარხანაში არალეგალური წრეების ჩამოსაყალიბებლად. ბათუმში ს. მდინარაძე შემჩნეულ იქნა პოლიციის მიერ. ამიტომ ის 1903 წლიდან გურიაში გადავიდა სამუშაოდ და ჩამოაყალიბა არალეგალური წრეები ფამფალეთში, ვაკიჯვარში, ბახვში. მას უშუალო კავშირი ჰქონდა ბათუმის ორგანიზაციასთან, საიდანაც ღებულობდა დირექტივებს და პროკლამაციებს. მისი წყალობით მალე გურიაში დაიწყო რევოლუციური მუშაობა. გურიას მიემატა სხვა ძალებიც, გაჩაღდა ტერორისტული მოძრაობა მეფის აგენტების, მემამულეების და თავადაზნაურების წინააღმდეგ. სამსონთან კავშირი ჰქონდათ საუკეთესო მებრძოლ ძალებს. ესენი იყვნენ დათიკო შევარდნაძე, კიკია მამულაშვილი, თეოფილე მუხაშავრია, საშა ობოლაძე. (მმფ. ს. №58).

ორცსა-ს ოზურგეთის ფილიალში დაცულ „დათიკო შევარდნაძის საქმეში“ ღირსეული ადგილი უჭირავს ალექსანდრე ობოლაძეს, როგორც დათიკო შევარდნაძესთან ძმად შეფიცულ ტერორისტს.

„განსაკუთრებულ“ რეკომენდაციაში ცნობილი რევოლუციონერი, ოზურგეთის რაიონის წითელ რაზმელთა ბიუროს თავმჯდომარე ბესარიონ რუსიძე აღნიშნავს: „ვიცნობ ამხანაგ დათიკო ერდიაშელის ძე შევარდნაძეს 1904 წლიდან. მან 1905 წელს მიიღო აქტიური მონაწილეობა ნასაკირალის შეტაკებაში პლასტენებთან, სადაც

ამხანაგ საშა ობოლაძესთან ერთად ჰყავდათ მუშათა რაზმები და აწარმოებდენ ბრძოლას."

ანკეტის „დასკვნით აქტში" ბესარიონ რუსიძე კვლავ აღნიშნავს: „დათიკო შევარდნაძე ნასაკირალის პერევალებთან იბრძოდა ამხანაგ საშა ობოლაძესთან ერთად" (ფონდი №191). ამავე არქივის ფონდში (№191) დაცულ კირილე უჯმაჯურიძის მიერ გაცემულ რეკომენდაციაში ვკითხულობთ: „დათიკო შევარდნაძე განაგრძობდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას. მან შეასრულა პარტიის დავალებათა მთელი რიგი ტერორისტული აქტები. ვიცნობ 1904 წლიდან. აქტიური მონაწილეობა მიიღო ნასაკირალის შეტაკებაში ამხანაგ საშა ობოლაძესთან ერთად. ჰყავდა მუშათა შეიარაღებული რაზმები და აწარმოებდა ბრძოლას (ფონდი №197. ამონაწერი №2).

„დათიკო შევარდნაძე, - აღნიშნულია სათანადო საბუთებში, დაიბადა 1879 წლის 7 თებერვალს ოზურგეთის მაზრაში. სწავლა მიიღო ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში, სწავლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა მწერლად ლიხაურში, ბასილეთში, ასკანაში, ჩოხატაურში - რა დღიდანაც შეუდგა რევოლუციურ მუშაობას, სინამდვილეში ასრულებდა ტერორისტულ აქტებს მრავალი წლების განმავლობაში. 1905 წელს ხელმძღვანელობდა მუშათა რაზმებს ნასაკირალთან. აქვე სხვა რაზმელებთან ერთად იმყოფებოდა ამხანაგი ალექსანდრე (საშა) ობოლაძე..." (იქვე. ფ. №181, ნაწ. 2).

1905 წლის სექტემბერში, როგორც ტერორისტი და ექსპროპრიატორი ალექსანდრე ობოლაძე ბაქოში გაასამართლეს „პოლიტიკურ საქმეზედ მიხეილ ბრეგვაძესთან ერთად" (ცნობის ფურცელი, 1905 წ. №2904, გვ. 2).

1906 წლიდან ალ. ობოლაძე ეზიარა მისთვის „ზედგამოჭრილ" ლირსეულ საქმეს. „სათავეში ჩავუდექი სამხედრო ორგანიზაციას. გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ იმდენი ტერორისტული აქტი, რაც მე წილად მხვდა კავკასიაში, არავის შეუსრულებია", - გულწრფელად გვიამბობს „სიკვდილის მთესველი საშა" (სახალხო განათლება, 1990 წ.

26 აპრილი).

ტერორისტული აქტების აღსრულების ჟამს საშა ობოლაძეს უშუალო კავშირი ჰქონდა როგორც გურიაში, ასევე გურიის ფარგლებს გარეთაც აღიარებულ ტერორისტებთან.

სოფელ ჭანიეთის უხუცესთა გადმოცემით: „ობოლაძე ოზურგეთში ყაჩაღობდა. იასონ შავიშვილი ინახავდა. იასონი ახლობელი იყო ცნობილი ტერორისტების: თედორე, კონსტანტინე და კოლია შავიშვილების. შემდეგ ობოლაძემ არ დაუფასა ამაგი ძველ მასპინძელს. 1923 წლის იანვარში გურიის ამოსაგდებლად მოვლინებულმა საშამ შუბლთან ჩახმახშემართული მაუზერი მიუტანა და ისე „დაუყვავა" ი.შავიშვილს: „ადრე მე მფარველობდი და მინახავდი, ახლა ხალხის მტერს, ყაჩაღსა და ბანდიტს გოგია ღლონტს ინახავ და მფარველობო" და ძველ მეგობარს „მენშევიკი ბანდიტის" გაცემა უბრძანა.

1906 წლიდან მოკიდებული „ობოლაძე ძველი ტერორისტია და თვითონაც ყაჩაღი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში შემთხვევით დაწინაურდა" (სახალხო განათლება, 7 ივლისი, 1990 წელი).

1921 წლის თებერვალ-მარტში, ისე, როგორც მთელი საქართველო, ასევე ოზურგეთის მაზრაც „გაწითლდა". მაზრას სათავეში ჩაუდგნენ შეიარაღებული კომუნისტები, მილიცია და ხალხის შეკავშირებული ნაწილები (მმმფ. საქმე №5, გვ. 13).

ოზურგეთში გამართულ „გასაბჭოებული მხარის" პირველ კრებაზე მენშევიკ აპალონ წულაძეს უთქვამს: „ბოლშევიკები ოზურგეთში მოვიდნენ მარტის თვეში, მარტი ცვალებადი თვეა. აპრილის თვეში კი, მარტის ნასესხები რომ გათავდება, ბოლშევიკები წავლენ და ჩვენ, მენშევიკები მოვალთო" (მმმფ. საქმე №58).

გავიდა მარტი. დადგა აპრილი. ბოლშევიკები არსად წასულან ოზურგეთიდან, მტკიცედ დამკვიდრდნენ მხარეში და გურიაში მენშევიზმის ნაშთების წინააღმდეგ მომავალი შეტევის მიზნით დამოუკიდებელი

საქართველოს ყოფილ მმართველ პარტიას ბრალად დასდეს „ბანდიტიზმთან კავშირი“.



გოგია ღლონტის ბახმაროს დამცველი რაზმი

დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ) დ. ერქომაიშვილი, გ. ლომინაძე, ი. კოტრიკაძე, ს. მეგრელაძე, სხედან: ე. კვაშალი, პ. ჭელიძე, ს. თალაკვაძე, ვ. ჩხაიძე, გ. ღლონტი, ფ. მეგრელაძე, მ. დათუნაშვილი (1921 წ.).

„წითელი ოზურგეთი“ „თეთრი მენშევიზმის“ წინააღმდეგ

„რაც შეეხება ბანდიტიზმთან მენშევიკური პარტიის კავშირს, აღნიშნულია სათანადო დოკუმენტებში, - ამის შესახებ გვაქვს საკმაო საბუთები და თუ საჭიროა, მათი გამოქვეყნებაც შეიძლება. ამ საქმეში (მენშევიკური) პარტია ძალიან გასვრილია... კავშირი ჩოლოყაშვილსა და სხვა ბანდიტებთან განა თქვენთვის ახალი ამბავია?

ჩოლოყაშვილის ერთი ბანდიტთაგანის შ. ფაველნიშვილის დაჭერილ დოკუმენტებშიაც ხომ აშკარად იყო ნათქვამი, რომ საქართველოს ყოფილი მთავრობა პარიზიდან მოუწოდებს ბანდიტებს აქტიური გამოსვლებისთვის და აღუთქვამს ფულსა და იარაღს.

გეკითხებით: იყო თუ არა პარიტეტული კომიტეტი შედგენილი მენშევიკური ცეკას ხელმძღვანელობითი? იყო თუ არა ამ კომიტეტის ხელმძღვანელი კოლია ქარცივაძე მენშევიკი, ყოფილი ამხანაგი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა? გამოყო თუ არა ამ კომიტეტმა სამხედრო ცენტრი? ქონდა თუ არა ამ სამხედრო ცენტრს კავშირი შეიარაღებულ ბანდიტებთან?.. ქონდა თუ არა ადგილი ისეთ შემოსევას... როდესაც რამდენადმე ცნობილ კომუნისტს ბანდები ჩაუსაფრდნენ და აუტეხეს სროლა? ყველა ეს დოკუმენტები არ არის?

... ვინ არიან ზანდუკელი, ჯუღელი, მათითაიშვილი, ლაშქარაშვილი, კასრაძე და სხვები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ამ ბანდებს?..

ეს ბანდები დღემდე განაგრძობენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და საშინელ დღეებს უმზადებენ მშრომელ ხალხს“ (მოამბე №2, 1923 წ. 23 სექტემბერი, გვ. 10). „თქვენი ცეკა აღნიშნულია საბრალმდებო დასკვნაში, იცავს „უსამართლოდ“ დახვრეტილ დუშელ ბანდიტებს და გურულ პროფესიონალ ქურდს იაკინთე

დუმბაძეს, „კაცს პატიოსანს“ როგორც “ჩვენი ერთობა“ უწოდებს.

თურმე სიღნაღელი ბანდიტები, რომლებმაც მთელი სოფლები ააწიოკეს და რომელთა დახვრეტას სიხარულით შეხვდნენ სიღნაღელები, გიჟუა მოლაშვილი და აგრეთვე გურული იაკინთე დუმბაძე ყოფილან „კაცნი პატიოსანნი“, ყაჩაღებისა და ქურდბაცაცების დაცვაც კაი საქმედ მიაჩნია მენშევიკურ სექტას“. (მოამბე, 1923 წ. გვ. 9).

ასეთი არგუმენტებისა და უტყუარი სამხილების წინა პლანზე წამოწევის შემდეგ „მენშევიკური სექტის“ წინააღმდეგ ამოძრავდა ბოლშევიკური მექანიზმი რკინისებური ლოგიკური „დასაბუთებით“.

„რევოლუციამ არ იცის სენტიმენტალიზმი და თუ ის შედგება ამ გზაზე, აშკარაა, ის დაიღუპება. ამიტომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება სრულიად მართალია, როცა მოწინააღმდეგეს ებრძვის მთელი სისასტიკით.

არის ლაპარაკი უზურპაციაზე, უფლებების გათელვაზე და სხვ. ვისი უფლება ითელება? წინათ გაბატონებული კლასის. უნდა გადაჭრით ითქვას, რომ მუშათა კლასის გაბატონება მის ძველ მტარვალებზე და სისხლის მწოველებზე ეს ისტორიული სამართლიანობაა... არც ერთ პარტიას ისეთი წმენდა თავის რიგებისა არ მოუხდენია, როგორც ეს ქმნა კომუნისტურმა პარტიამ. არცერთი პარტია ასეთი ულმობელი და სასტიკი თავის წევრთა მიმართ არ ყოფილა, როგორც კომუნისტური პარტია“ (მოამბე №2, 1923 წ. გვ. 6). ზემოხსენებულმა „ულმობელობამ“ და „სისასტიკემ“ მალე სათანადო გამოხატულება ჰპოვა ოზურგეთის მაზრაში.

1921 წლის 18 მარტიდან გურია დაყოფილი იყო რვა სამოქმედო რაიონად - ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ჯუმათის, ნაგომრის, ხიდისთავის, სუფსისა და ნატანების რაიონებად. „მაზრას სათავეში ედგა სამაზრო კომიტეტი, ცალკეულ რაიონებს - რაიონის რევკომის თავმჯდომარეები. ყველა რაიონში მოქმედებდა მილიციის განსაკუთრებული რაზმი „ჩონის“ სახელწოდებით. ცალკეული

რაზმები ემორჩილებოდნენ სამაზრო კომიტეტთან არსებულ განსაკუთრებული რაზმის მეთაურს. მათი ძირითადი დანიშნულება იყო „შეუნელებელი ბრძოლა მენშევიკი ბანდიტების“ წინააღმდეგ.

1921 წლის ივლისისათვის პარტიული და სახელმწიფოებრივი ორგანოების შექმნისა და განმტკიცებისთანავე მაზრის ხელმძღვანელობამ მთავარი ყურადღება გაამახვილა მუშათა და გლეხთა შვილების სამხედრო სწავლებაში ჩაბმაზე. აღრიცხულ იქნა 16-18 წლის მუშათა და გლეხთა შვილები, აღრიცხვაზე აყვანილი იქნა მოწაფეები 18-20 წლის ასაკისა, შემოწმებული იქნა მათი ჯანმრთელობა.. მოქალაქეებმა დაიწყეს სამხედრო ვარჯიში. „მტერსაც კი შეაღონებს მათი შეხედვა, მათი მოხდენილი მწყობრი სიარული და ვარჯიშობა“ (მმმფ. საქმე №178. კომუნისტი, 1921 წელი, 19 ივლისი).

ასე „შეიქმნა მაღალი დანიშნულების პროლეტარული, მუშურ-გლეხური, კომუნისტური მორალით შეიარაღებული მოწინავე მებრძოლთა გუნდი. ყოველივე ეს მაზრის ხელისუფლებას ავალებდა მაზრის მუშურ-გლეხური პროლეტარული ფენა გადაექცია უძლეველ არმიად, რომელიც ცალ ხელში დაიჭერდა წითელ ფარ-ხმალს, ხოლო მეორეში ჩაქუჩ-ნამგალს“ (მმმფ. საქმე №178). „ერთ ხელში თოფია, მეორეში თოხი, - ასეთი შრომითა და ბრძოლით ჩვენ საბოლოოდ დავასამარებთ საერთო კონტრრევოლუციას“ (მმმფ. საქმე №178). ოზურგეთის მაზრის კომიტეტს სათავეში ჩაუდგნენ: გ. მგალობლიშვილი, ა. დოლიძე, ვ. კალანდაძე, თ. დოლიძე, კ. გურგენიძე. (იქვე).

1921 წლის 1 ივლისს ოზურგეთში გამართულ რეკომის თავმჯდომარეთა ყრილობაზე აღინიშნა: განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ბოროტმოქმედთა და ქურდ-ავაზაკთა წინააღმდეგ ბრძოლაზე... ყრილობა ადგენს: „სასტიკი ყურადღება იქნეს გამახვილებული ადმინისტრაციული აპარატის მიერ ყოველგვარი ბოროტმოქმედების ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად. ენერგიული ზომები უნდა იქნეს მიღებული პროვოკატორების ასალაგმავად. ის აპარატი, რომელიც ამის

სისრულეში მოყვანისას სისუსტეს გამოიჩენს სასტიკ პასუხისმგებლობაში იქნეს მიცემული. ყოველგვარი ბოროტმოქმედების აღმოფხვრაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მასამ, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა პარტიული ამხანაგების მეთაურობით" (მმმფ. საქმე №178. გვ. 4).

ხსენებული დადგენილების ძალით მხარეში „მამულის, ენისა და სარწმუნოების" ყოველ-გვარი აღმსარებელი გამოცხადებული იქნა „დეზერტირად", „ხალხის მტრად", „ჯაშუშად", რასაც მოჰყვა შესაბამისი „ინსტრუქცია": „ყველა პატიოსანმა მოქალაქემ, ვინც დაინტერესებულია რევოლუციის დაცვაში, უნდა მიიღოს ენერგიული ზომები დეზერტირების დასაჭერად და სათანადო ორგანოებში წარმოსადგენად" (მმმფ. საქმე №178. გვ. 46).

შეიძრა ქვეყანა, ამოქმედდა ხალხი. მაზრის „გამასწორებელი სახლი", იგივე საპყრობილე ავსო „დეზერტირებით". „ჯაშუშებით", „მოწამლული" სიმინდის დამთესი „კლასობრივი მტრებით".

ცნობილი რევოლუციონერი „წითელი პარტიზანული" პარტიის წევრი 1918 წლიდან, ქ. ოზურგეთის მკვიდრი გ. ხ-ძე წერს: „როდესაც 1921 წელს მოხდა გასაბჭოება, ქ. ოზურგეთში ჩამოყალიბდა განსაკუთრებულ დანიშნულებათა სამხედრო ნაწილი („ჩონი"). მის განკარგულებაში ვიყავი მე, როგორც მებრძოლი. შემდეგ ეს ნაწილი („ჩონი") გადავიდა პირველად ამხანაგ საშა ობოლაძის და მეორედ ტალახაძის განკარგულებაში, რომლების დაქვემდებარებაში მეც ვიყავი. ვიბრძოდი იარაღით ხელში მენშევიკური ბანდიტების წინააღმდეგ" (მმმფ. საქმე №72).

მენშევიკ ბანდიტთა თავკაცად ოზურგეთის მაზრაში ყოფილი გვარდიელი გოგია მიხეილის ძე ღლონტი იქნა გამოცხადებული. „ჩონის" შენაერთმა მასზე და მისი რაზმის წევრებზე დაიწყო ნადირობა. გოგია ღლონტი დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ მელექედურში. გოგიას ძმის - არსენ ღლონტის მეუღლის, ამჟამად 90 წელს მიღწეული ლოლა ხმელიძე-ღლონტის გადმოცემით: „გოგიე რომ დევნილი

შეიქმნა, 30 წლის მაინც იქნებოდა... სამი ვაჟი და ერთი ასული ჰყავდა მიხეილ ღლონტს: არსენი, ტარასი, გოგია და რისიმე. დედმამიშვილებში გოგია ყველაზე უმცროსი იყო. ოჯახი შეძლებულად ითვლებოდა. შრომობდნენ. „ერეკებოდნენ მარჩენალ მიწას". ასაკში რომ შეეიდნენ, ძმებმა ყველამ თავთავისი გზა მონახა. ტარასი და გოგია ქ. ოზურგეთში მაშინდელი ნატანების, მერმინდელი ლენინის და ამჟამინდელი მერაბ კოსტავას ქუჩის დასაწყისში დასახლდნენ. „რვა თვალი ოდა გვქონდა, კაცი თვალს დაატანდა," - აღნიშნავს გოგიას ძმის შვილი 77 წლის ნინა ღლონტი. არსენი სოფელში დარჩა ძველ ნაფუძარზე. იგი შესანიშნავი ხის მოხელე ყოფილა. მათი ძველი სახლი, რომელიც არსენის მიერ იყო „შემკული ყოვლითა" და საცა არაერთხელ შეპარულა შემდეგ თვალის მოსატყუებლად დევნილი გოგია ღლონტი, ახლაც აკვირვებს მნახველს ხის ხელობის შესანიშნავი ნიმუშით. არსენმა სოფელ მელექედურის მკვიდრი, ამჟამად „გოგია ღლონტის ამბებში" ჩვენი მემატიანე ლოლა შეირთო ცოლად. გოგიასაც მელექედურელი ქალი, „მასავით ცქაფი და უშიშარი" პისტი ქადეი შვილი ყავდა ცოლად. შვილი არ ეყოლათ. გოგია ღლონტი ქართველთა ემიგრაციულ საუფლოში - საფრანგეთში „გარდეგო უძეოდ".

ტარასიმ გოგიბერიძის ქალი ქრისტინე ითხოვა ცოლად. არსენისა და ტარასის შვილები და შვილიშვილები ახლა მრავლობენ ოზურგეთს, მაგრამ თუ გოგია ღლონტის ხელახლა გაცოცხლებას მოესწრებოდნენ, მათ არ ეგონათ.

გოგია და მისი და-ძმები დიდი სითბოთი და სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი ერთმანეთის მიმართ. სწორედ მაშინ, როცა ოზურგეთის „გაწითლების" შემდეგ „ამ ქვეყანაზე მეზობელი მეზობელს არ ინდობდა, შვილი-მამას და ძმა-ძმას", ამ იშვიათი სიყვარულისა და სითბოს ძალამ გადაარჩინა კიდეც გოგია „ყაჩაღად გავარდნის" შემდეგ უპირველესი ტერორისტისა და მაუზერისტის, „ოზურგეთის პალაჩად" წოდებული იაკინთე ქილიფთარის მეთაურობით მოქმედ განსაკუთრებული

რაზმის „ჩონის“ ტყვეობისაგან. „რომ დაეჭირათ, ცოცხლად შეჭამდნენ,“

აღნიშნავს ნინა ღლონტი. შინაურების გადმოცემის მიხედვით: „გოგია არც მიწის მუშა გამოდგა და არც დურგალი. იგი უფრო იარაღის კაცი იყო. გვარდიაში მსახურობდა. ვალოდია გოგუაძესთან იბრძოდა „ბრანენვიკზე“, ტანად პატარა იყო, დაბალი, ჩაფსკვნილი, მთლად ძარღვი, კაი მსროლელი, სწრაფი, ერთ ადგილზე ვერ გააჩერებდი. თვალები ჰქონდა ელექტრონივით, ღამე ანათებდა. ჩვენ იგი უიარაღოდ არ გვინახავს. თოფთან ეძინა, თოფთან ჭამდა, თოფთან სვამდა. ობოლაძე რომ ჩააძაღლა, ამხელა ხრონგი, ორმეტრიანი წითელი მხეცი, იმ დღიდან გაგვიმწარდა ცხოვრება. დამალვა გაუჭირდა. ძაღლებივით დასდევდნენ. არსენმა მიწაში სამალავი ოთახი გაუკეთა. ორი ღამე გაათია შიგ“ (ლოლა ღლონტის ნაამბობი. ჩავიწერეთ 1990 წლის 8 ივლისს).

1921 წლის მარტში სამაზრო ხელისუფლებამ „აღრიცხვაზე აიყვანა“ ყოფილი მენშევიკი გვარდიელი გოგია ღლონტი და მისი შეფიცულები - ე.წ. „ბახმაროს რაზმი“, როგორც “ბანდიტები“, „დეზერტირები“ და „კლასობრივი მტრები“, თუმცა მაზრის ხელისუფლება ერთხანს წაყრუების პოლიტიკას ადგა. გოგია და მისი რაზმი თითქოს შემოირიგეს, ნდობით აღჭურვეს, ბახმარო და მისი მიდამოები გამოუყვეს სამოქმედო ზონად, რათა ამ მიდამოებში „ქურდ-ბაცაცებსა და ავაზაკებს“ მშრომელი ხალხი არ გაეძარცვათ. „ბახმაროს რაზმმა“ მიიღო სამაზრო ხელისუფლების წინადადება. რაზმეულებმა ტყეში დაიწყეს სამსახური. ხელისუფლებამ მრავალგზის „მოფერებისა“ და „დაყვავების“ მიუხედავად ვერ შესძლო „ჯილდოზე“ წარდგენილი გოგიასა და მისი რაზმის ოზურგეთში ჩამოტყუება. ძალთა წონასწორობისა და „დაზვერვის“ პერიოდი დამთავრდა, შუბი ხალთაში ვეღარ დაიმალა. განსაკუთრებული რაზმი - „ჩონი“ ყაჩაღთა მიმართ შეტევაზე გადავიდა. „ჩონის“ პირადი შემადგენლობა „ვეტერანების“ - ყოფილი ტერორისტების და „სანდო ელემენტებისაგან“ იყო შედგენილი. მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი ს. ლ-ძე გვამცნობს:

„1921 წელს საქართველო გასაბჭოვდა, როგორც სხვა ადგილზე, ისე სილაურის თემში შეიქმნა რევკომი სევასტი სარიშვილის ხელმძღვანელობით. მილიციის უფროსად დაინიშნა დომენტი დარჩია, თემებში ჩამოყალიბდა მილიცია. მეც მილიციაში ვმუშაობდი სილაურის თემში, სადაც დიდი ბრძოლა გვიხდებოდა ბანდიტებთან.

1922 წელს გადამიყვანეს ოზურგეთის სამაზრო მილიციაში, რომელიც ბან-დიტებთან მებრძოლი რაზმისაგან იყო შემდგარი. გურიაში მაშინ 300-მდე დევნილი ბანდიტი იყო, რომელსაც ოზურგეთის მილიციამ ლიკვიდაცია უყო“ (მმმფ. საქმე №58).

ამავე რაზმის წევრის კ. ა. ჩ-ლის ცნობით: „საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვმუშაობდი სოფელ ჯუმათში მილიციონერად, ვღებულობდი აქტიურ მონაწილეობას ტყეში გაფანტული მენშევიკების ლიკვიდაციაში“ (მმმფ. საქმ. №58).

„1921 წელში, გვაუწყებს ა. ა. ტ-ძე, როდესაც საქართველო გასაბჭოვდა, პარტიის დავალებით დავიწყე სამსახური ადგილობრივ ჯუმათის თემის მილიციაში და ვდევნიდით ტყეში გაქცეულ მენშევიკებს“ (მმმფ. საქმე №58).

„1921 წლიდან საქართველოს გასაბჭოების დღიდან ოზურგეთში შექმნილი იყო პარტიულების რაზმი, რომელიც ებრძოდა მენშევიკურ ნაშთებს. მენშევიკები იმალებოდნენ ლაითურისა და სხვა მიუვალ ტყეებში, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ მანწკავა და ღლონტი“ (მმმფ. საქმე №134).

ა. ვ. თ-ძე გვიამბობს: „1921 წლიდან საქართველოში კომუნისტური პარტიის გამარჯვების შემდეგ, პირველი აპრილიდან მე ამირჩიეს წითელმთის კომპარტიის უჯრედის მდივნად. აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი ყაჩაღებისა და მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში“ (მმმფ. საქმე №223).

„მენშევიკური ბანდების“ წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც სათავეში ედგა ზემოთხსენებული გოგია ღლონტი, განსაკუთრებული წვლილი

მიუძღვის ცნობილ ტერორისტს - იაკინთე ქილიფთარს, რომელიც ტერორისტული აქციების სისრულეში მოყვანითა და მათი „აკურატული" შესრულებით არამცთუ ჩამოუვარდებოდა ცნობილ საშა ობოლაძეს, არამედ ბევრ რამეში აღემატებოდა კიდეც. „1922 1923 წლებში, აღნიშნავს ი. ქილიფთარი ჩვენ გვიხდებოდა ბრძოლა მენშევიკური ბანდების წინააღმდეგ. ჩვენ ვიყავით განსაკუთრებული რაზმი..." (მმმფ. საქმე №283). მისივე გადმოცემით: „1922 წელს მენშევიკებმა დემონსტრაცია გააკეთეს შავი დროშებით ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენმა რაზმმა ხელის გასკვნით გააკეთა ცეპი, იარაღი არ გვიხმარია, მენშევიკები ისე შევყარეთ სკოლაში. ვაიძულეთ დაგვნებებოდნენ.

ჩვენი უშიშროების უფროსი იყო პეტრე მხეიძე, მან ჩამოაყალიბა გურიის სამივე რაიონში უშიშროება. გამოგზავნილი იყო თბილისიდან. შემდეგ მილიციის უფროსი სარჯველაძე გადავიდა თბილისში და დროებით მე დამტოვეს მილიციის უფროსად სანამ შეარჩევდნენ უფროსს. შემდეგ მილიციის უფროსად აირჩიეს გოგი მახარაძე. მე ისევ რაზმის ხელმძღვანელი დავრჩი და ვიბრძოდი ბანდის წინააღმდეგ 1927 წლამდე. შემდეგ კი გადამიყვანეს უშიშროების რაზმში ოპერატიულ ხელმძღვანელად... ჩვენი მილიციის წითელი რაზმი იყო როგორც ცხენოსანი, ისევე ფეხოსანი, ამ რაზმის ხელმძღვანელი ვიყავი მე, იაკინთე ქილიფთარი. ამ რაზმით ვიცავდი წესრიგს.

1929 წელს სამაზრო კომიტეტმა ჩამოაყალიბა კომკავშირი. ამ დროს მენშევიკებმა კომიტეტი აირჩიეს ტყეში, ჩვენს საწინააღმდეგოდ... თავმჯდომარედ აირჩიეს ალექსანდრე კვერღელიძე... მას ჰყავდა ბანდიტების რაზმი და გვებრძოდნენ ჩვენ" (მმმფ. საქმე №283).

იაკინთე ქილიფთარი, როგორც აქტივისტი წითელრაზმელი, ჯერ კიდევ 1905 წლიდანაა ცნობილი, მაგრამ ყველაზე უკეთ მისი „ნიჭი" და „უნარი" კლასობრივი მტრის მიზანსწრაფვათა ამოცნობაში გამოიკვეთა 1918-1919 წლებში მენშევიკური საქართველოს „შავბნელ პერიოდში".

„ჯუმათ სილაურის ორგანიზაციას, აღნიშნულია მის შესახებ გაცემულ

სათანადო საბუთში, - პარტიის კომიტეტმა მოსთხოვა ერთი ამხანაგი, რომელიც უნდა გამგზავრებულიყო მენშევიკების რაზმში (ჯუღელის რაზმში). ჩვენი დადგენილებით გამოყოფილ იქნა ამხ. ი. ქილიფთარი. მან მასზედ დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულა. მას კავშირი ჰქონდა ჩვენს ორგანიზაციასთან მუდმივად" (მმმფ. საქმე №383). საბუთს ხელს აწერენ ვეტერანი კომუნისტები ბესარიონ რუსიძე და სევასტი სარიშვილი, პ-წ 1917 წლიდან. 1956 წლის 23 ოქტომბერს გაზეთი „მებრძოლი გუშაგი" ი. ქილიფთარის შესახებ წერდა:

„ოზურგეთის რაიონში ყაჩაღები გამრავლდნენ, საჭირო იყო მათი ლიკვიდაცია. შეიარაღებული ხორცმეტები თავს ესხმოდნენ მგზავრებს. ძარცვავდნენ მათ. ყოველდღიურად საგანგაშო ცნობა მოდიოდა, საგანგებო თათბირი მოიწვიეს. ყაჩაღებისაგან უნდა გაეწმინდათ ტყე. რაზმის შემადგენლობა განსაზღვრეს: 30 კაცი, რაზმის ხელმძღვანელი ი. ქილიფთარი.

ი. ქილიფთარი გვიან ღამით 30 მილიციელთან ერთად ტყისკენ მიმავალ გზას დაადგა. დანიშნულ ალაგს შუაღამისას მიაღწიეს... უხმოდ იწვნენ. ზვერავდნენ პოზიციას, საიდანაც ყაჩაღები უნდა გამოსულიყვნენ... ტყის ნაპირას ჩასაფრებულ იაკინთეს სტვენა მოესმა... რამდენიმე წუთში შეიარაღებული ბანდიტი განაპირა ხესთან გაჩნდა, მიდამო გულდასმით შეათვალიერა და დაუსტვინა... ხელში მაუზერი ეჭირა, ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ოცამდე ყაჩაღი ტყიდან ცალ-ცალკე გამოვიდა... იაკინთემ პირველსავე გასროლით წინ მიმავალი მიწას გააკრა სამუდამოდ... რაზმელებმა ათი ყაჩაღი სიცოცხლეს გამოასალმეს, ოთხი დაჭრეს და ორიც ტყვედ აიყვანეს... იაკინთე ქილიფთარის ოპერატიულობას მაშინ მილიციის განყოფილების უფროსმა მაღალი შეფასება მისცა და ერთგულ მუშაკს საზეიმო ვითარებაში გადასცა მაუზერი და სიგელი, რომლის შინაარსი გვამცნობს:

„საქ. სსრ ოზურგეთის განყოფილების რწმუნებულის მოადგილე ამხ. ქილიფთარი იაკინთე გიორგის ძე, შეიარაღებული ანტისაბჭოური გამოსვლების ლიკვიდაციისას გამოჩენილი სიმამაცის, ინიციატივის,

შრომისა და განსაკუთრებული უნარიანობის გამო დაჯილდოებული იქნას ავტომატური პისტოლეტით - „მაუზერით“ №456281, სათანადო წარწერით: „კონტრრევოლუციის წინააღმდეგ შეუბრალებელი ბრძოლისათვის...“.

1930 წლის 20 ნოემბერს საქართველოს წითელ პარტიზანთა და წითელ გვარდიელთა კომიტეტის მიერ ი. ქილიფთარისადმი გაცემულ ცნობაში აღნიშნულია: „ცნობა გაცემულია ამხ. ქილიფთარ იაკინთე გიორგის ძეზე, მასზედ, რომ ის ნამდვილად იმყოფება საქართველოს წითელ პარტიზან გვარდიელების აღრიცხვაზე.“

1943 წლიდან იაკინთე ქილიფთარი პერსონალურ პენსიაზე გასასვლელად გაემზადა, მის შესახებ გაცემულ იქნა სათანადო დახასიათება, სადაც ვკითხულობთ: „ქილიფთარი იაკინთე გიორგის ძე დაბ. 1988 წელს მახარაძის რაიონის სოფელ სილაურში, სკკპ წევრი 1917 წლიდან, მცხოვრები ქ. მახარაძეში.

ამხ. ქილიფთარი იაკინთე გიორგის ძე 1921 წლიდან 1925 წლამდე მუშაობდა ყოფილ ოზურგეთის მაზრაში მილიციის ორგანოებში, იყო მილიციის რაზმის უფროსი და მონაწილეობას ღებულობდა ბანდიტურ ელემენტებთან ბრძოლაში. 1925 წლიდან 1934 წლამდე მუშაობდა ოზურგეთის განყოფილებაში ოპერრწმუნებულის მოადგილის თანამდებობაზე, აგრეთვე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ანტისაბჭოურ ელემენტებთან ბრძოლაში და ანტისაბჭოური შეიარაღებული გამოსვლების ლიკვიდაციაში. მუშაობაში ამხ. ქილიფთარი ყოველთვის იჩენდა: ინიციატივას, სიმამაცეს, შრომისუნარიანობას და ყოველთვის უნარიანად მოქმედებდა, რისთვისაც არაერთხელ დაჯილდოვდა საქ. სსრ და სსრკ სახ. პოლიტ სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ, რის დასადასტურებლადაც მას სათანადო საბუთებიც გააჩნია.

1934 წლიდან დღემდე ამხ. ქილიფთარი უყოყმანოდ ასრულებს ყოველგვარ ოპერატიულ დავალებებს.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე ხანდაზმულია, ის მაინც იჩენს მუშაობაში ინიციატივას და მთელი თავისი ენერგიით მზად არის შეასრულოს ნებისმიერი დავალება. განსაკუთრებით მან გამოიჩინა თავი სამამულო ომის წლებში გურიის რაიონში მოქმედი პოლიტბანდიტების ლიკვიდაციასა და ლეგალიზაციაში.

დახასიათება ეძლევა ამხ. ქილიფთარ ი. გ. საქ. სსრ სოციუზრუნველყოფის სამინისტროს საპენსიო განყოფილებაში წარსადგენად."

ასეთი „აქტივი" ედგა მაშინ სათავეში გურიაში მენშევიკური ბანდების წინააღმდეგ მოქმედ საგანგებო რაზმს „ჩონის". საშა ობოლაძის ამ რაზმის საგანგებო ხელმძღვანელად დანიშვნა ცეცხლზე ნავთის დასხმის შესატყვისი იყო.

ჯოჯოხეთური „ტროიკა“ და „შესანიშნავი“ ხუთეული

1923 წლის 23 თებერვალს გურიაში შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ გაზეთი „კომუნისტი“ აღნიშნავდა:

„რაკი მენშევიკები ერთხელ შედგნენ მუშათა კლასის ღალატის მოლიპულ გზაზე ამ გზას უნდა მიეყვანა ისინი თავის ლოგიკურ დასკვნამდე, იმ ხაზამდე, სადაც წაშლილია ყოველგვარი საზღვარი პოლიტიკურ პარტიას და ბანდიტურ შაიკას შორის“. ასე დაემართათ რუს მენშევიკებს, ასე მოუვიდათ ჩვენს მენშევიკებსაც. მენშევიკური პარტიის მეშჩანური ბურჟუაზიული გრძნობა არ შეიძლება შერიგებოდა პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებას ჩვენში და ის მთელი თავისი არსებით აჯანყდა მის მოსასპობად. მათ გადადგეს სისხლიანი ნაბიჯები რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად.

ჯერ მენშევიკური რეჟიმის წლებში ისინი აშკარად გადავიდნენ კომუნისტების წინააღმდეგ სისხლიან ტერორზე, არაფერს არ ერიდებოდნენ თავიანთ შაებნელი მიზნების განხორციელებისათვის. მათ დახვრიტეს ათობით თავდადებული მებრძოლი ბოლშევიკი, სატუსალოში ჩასვეს კომუნისტთა და კომკავშირელთა დიდი ნაწილი.

არც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ დაუყრია ფარხმალი მენშევიკებს - მათ თავიანთი მუშაობა ორი გზით წარმართეს. ჯერ ერთი მათ საზღვარგარეთ დაიწყეს ათასგვარი ჭორების გავრცელება ხელისუფლებაზე, ისინი ევროპელ იმპერიალისტებს ეპატიჟებოდნენ საქართველოში, ხოლო მეორე მხრივ მათ ბრძოლა გააჩაღეს შინაური კონტრრევოლუციური მექანიზმის ამუშავებით, მათ დარაზმეს კონტრრევოლუციური ძალები, ეწეოდნენ აგიტაციას, მაგრამ მშრომელი ხალხი არ წამოეგო მათ აგიტაციაზე. ამგვარი ქმედებით მენშევიკებმა

ამოწურეს თავიანთ მუშაობაში ყოველგვარი შესაძლებლობა, ამიერიდან ისინი დაადგნენ ინდივიდუალური ტერორის გზას" (მმმფ. საქმე №38).

ასე იქნა დასაბუთებული და დასურათხატებული „მენშევიკთა ბანდიტური ქსელით დახლართული ოზურგეთის მაზრის" მოდრეკისა და სისხლში ჩახშობის გეგმა, რომლის აღსრულებაც „ძველი ოზურგეთის" სამოსწავლო საკადრო ათასეულის სამხედრო კომისარს ალექსანდრე ობოლაძეს მიენდო.

„1922 წლის დამლევს დახვრეტები მთელ საქართველოში ხდება... ხალხის შესაშინებლად და დასასჯელად საქართველოს ყოველ კუთხეში განსაკუთრებული რაზმები იგზავნება ჯალათ ჩეკისტების მეთაურობით და მათ შორის გურიის ხალხის დასამორჩილებლად არანორმალური, ნახევრად შეშლილი ბოროტი ცნობილი ობოლაძე... " (ვლასა მგელაძე, რუსეთის მობრუნება საქართველოში. პარიზი, 1936, თბილისი 1991, გვ. 45).

რომელი დამპყრობი და მიწყივ-მოსისხარი არ ახსოვს და არ უნახავს „ძველ გურიასა" და „ძველ ოზურგეთს" — იატაგანშემართული პირსისხლიანი იანიჩარები თუ ლამაზ ქალ-ვაჟებზე მონადირე ტყვეთა მსყიდველნი, „ქართველთა ნათესავის მიმართ" გულჯავრიანი გენერალი ალიხანოვ-ავარიელი თუ გურულთა სისხლით გაუმაძღარი პოლკოვნიკი კრილოვი, რენეგატ ჰასან ბეგ თავდგირიძის მოთარეშე ბრბოები თუ შემოქმედის ციხის „მომტეხი" გენერალ ველიამინოვის ხიშტოსანი ეგერები, მაგრამ მსგავსი საშინელება, როგორიც იყო „მთელი გურიის სასჯელი", ცოცხლად მოარული ცელშემართული სიკვდილი ალექსანდრე ობოლაძე, აღარც მანამდე და აღარც მას შემდეგ გურიას არ ახსოვს.

გოგია ღლონტის „ბახმაროს რაზმი“

საშა ობოლაძემ შემართა შანთი. დაიწყო გოგია ღლონტისა და მისი რაზმის წევრების ძებნა ლიათურისა და ნარუჯის ტყეებში, ქაქუთისა და მელექედურის, ჭანიეთისა და ლიხაურის მიდამოებში, „შემჩნეულ“ და „არასაიმედო“ პირთა ოჯახებში, მაგრამ ამაოდ. „თუშ-ფშავ-ხევსურეთის გმირს“ გაუჭირდა ბახმაროს რაზმის მოშთობა. გოგია ღლონტის მეთაურობით მოქმედ „ბახმაროს რაზმში“ იმხანად ირიცხებოდა 11 წევრი: ექვთიმე კვაშალი, კონსტანტინე ჭელიძე, სიმონ თალაკვაძე, ვასო ჩხაიძე, გიორგი ღლონტი, ფილიპე მეგრელაძე, მიშა დათუნაშვილი, დათიკო ერქომაიშვილი, გიორგი ლომინაძე, ილიკო კოტრიკაძე, ილიკო მეგრელაძე. (იხ. ფოტო).

90 წლის კარლო თოხაძის გადმოცემით: „რაზმის წევრები“ გულ-უშიშარნი იყვნენ. „პარახოთს“ აჩერებდნენ ზღვაში. ბევრჯერ ამოუვსეს ობოლაძის მილიციელებს მიწით თოფის ლულები. ობოლაძის ტერორს, ტერორით პასუხობდნენ. გოგია ღლონტზე როგორც „გულმხეცი ობოლაძის ღირსეულ მოწინააღმდეგეზე“ ახლაც დადის მოარული ლეგენდები გურიაში. „ამ პატარა კაცს თვალებში ფოსფორი ჰქონდა, ელექტრონივით ანათებდა“, გვიამბობს გოგია ღლონტის რძალი ლოლა ხმელიძე-ღლონტისა. „ოჯახში ღორს რომ დაკლავდნენ, გოგია ცხრა მთას იქით გარბოდა - სისხლის ეშინოდა, მაგრამ თუ ვინმეს განამწარები ჰყავდა, იმის სისხლს დალევდა,“ - აღნიშნავს ნინა ღლონტი.

ჩაუქი და მამაცი იყო გოგიასთან ერთად მებრძოლი მისი მეუღლე პისტი ქადეიშვილი. იმავე ნინა ღლონტის გადმოცემით, ექადიასთან, მდინარე ბჟუჟის ნახიდურთან ნაპირს მოადგა კაცურად ჩაცმული გოგიას ცოლი, ქალმა ვერ შეძლო ადიდებული მდინარის გადმოლახვა და

„გოგიას რაზმის“ მოთვალთვალე ყარაულს ხუთი მანეთი მისცა. ზურგზე შეაჯდა და ისე გააყვანინა თავი გაღმა ნაპირზე - მერე სამშვიდობოს გასულმა მიაძახა: „დანარჩენ სამადლობელს ჩემი მეუღლე გოგია ღლონტი გეტყვისო.“

გადაბუგული და გადამწვარი გურიის სოფლების ნახვა შურისძიების გრძნობას უღვივებდა ყოფილ გვარდიელს. წვავდნენ მისი „სისხლისა და ხორცის“ ახლობლების უდანაშაულო ხალხის სახლ-კარს. ნინა ღლონტის გადმოცემით: „გოგიამ ობოლაძეს შეუთვალა: „თუ გინდა ცოცხალი გადარჩე, დატიე ოზურგეთი და წადიო“. „თუ ვაქკაცი ხარ, შემხვდიო“, უთვლიდა ძველი ტერორისტი.

1923 წლის 10 თებერვალს ქაქუთისა და ჭანიეთის თემებს დასცემია ობოლაძე. ნაყაჩაღარს „დანოსჩიკებისაგან“ ცნობა მიულია: გოგია ღლონტი ხავთასებისა და ლომჯარიების ოჯახებში ქეიფობსო. ობოლაძემ განსაკუთრებული რაზმის „ჩონის“ ასი ცხენოსანი იახლა და გურიის ამ ულამაზეს სოფლებს შეუსია. ტერორისტებმა კვლავ დაღვარეს სისხლი უდანაშაულო ხალხისა. ალნიშნული საშინელების შესახებ სოციალ-დემოკრატი ვალიკო ჩუბინიძე წერს: „გოგია ღლონტისა და გაყაჩაღებულ მანწკავას წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარი ცნობილი ობოლაძის მეთაურობით ღვთის რისხვად ევლინება გურიის მშვიდობიან მოსახლეობას. ტყეში გაჭრილ ყაჩაღებთან უძლური ობოლაძე, შურს იძიებს ბინადარ, მშრომელ გურიაზე. ეს ჯალათი ხვრეტს გლეხებს და მათ გასისხლიანებულ გვამებს ყვავ-ყორნების და ძაღლების საჯიჯგნად ყრის თვალსაჩინოდ ოზურგეთის შემავალ გზებზე. რათა ასეთი გულშემზარავი სურათით ტერორის ქვეშ დააყენოს მოსახლეობა. ობოლაძე სხვა მრავალთა შორის სწვავს მანწკავას ძმის - ვასილის სახლს და ეს გულქვა სადისტი თავისი ხელით ცეცხლის ალში აგდებს და ცოცხლად სწვავს სახლის პატრონის 12 წლის ვაჟს...“ (ლიტ. საქართველო. 8 ივნისი, 1990 წ.).

ოზურგეთის მაზრაში „კლასობრივი მტრებისა“ და მათი ნაშიერი „გველის წიწილების“ სასტიკი დასჯით გახარებულ ოზურგეთის მაზრის

პოლიტბიუროს უფროსი მელიქაძე 1923 წლის იანვარში „რკინის სახკომს“ ს. ორჯონიკიძეს მოახსენებდა: „ამხანაგო სერგო! გამარჯობათ! გიგზავნით მგზნებარე სალამს გურიიდან, რომელიც ცოტა-ცოტა ცელქობს, მაგრამ ალბათ მალე მოვა ჭკუაზე. საქმეები მიდის დამაკმაყოფილებლად; რადგან პერიფერიებში ამხანაგები ავლენენ ზოგიერთ სისუსტეს, ზოგიერთი შეშინებულია. ამხანაგი ობოლაძე როგორც საფრთხობელა, ჩვენს მტრებს არ აძლევს მოსვენებას. ირგვლივ გაისმის მუქარა. ადგილი ჰქონდა ტერორიზებასაც. მაგრამ ხუთეული ისმენს და ხვრეტს. 6 იანვარს დახვრეტილი იქნა 8 კაცი. ამ დღეებში, ალბათ კიდევ დავტკბები „ცოცხალი უფასო სურათებით“. დიახ, გადამწყვეტი პოლიტიკა ყოველთვის აძლევდა შედეგებს და არც ახლა უღალატებს თავის ტრადიციებს. დონდლო კომუნისტები, რა თქმა უნდა, კანკალებენ სისხლის დანახვაზე, მაგრამ სისხლის გარეშე არაფრის გაკეთება არ შეიძლება. ჩვენი პოლიტიკა მოსახლეობას - მშრომელ ხალხს მოსწონს. ზემოთ მითითებულ გარეწართა დახვრეტა მან მოიწონა და მოითხოვს ყველა ბანდიტის დახვრეტას, მენშევიკები იმდენად გათავხედნენ, რომ თავის სულელურ პროკლამაციაში, რომელსაც წერილთან ერთად გიგზავნი, მიუთითებენ, რომ მთავრობა ებრძვის თავის ყოფილ თანამშრომლებს - ბანდიტებს (თქვენი პროგნოზი გამართლდა, თქვენ ხაზს უსვამდით ამას 18 ნოემბრის სხდომაზე) და მოუწოდებენ მოსახლეობას, მოითხოვონ საექსპედიციო რაზმის დაუყოვნებლივ გაყვანა. ასეთი კეთილი საქმისათვის მენშევიკები გადმოვაგზავნეთ თბილისში გასასეირნებლად“. ვფიქრობ, რომ თქვენ არ დაიშურებთ ვაგონს შემდგომი გასეირნებისათვის“. (სახალხო განათლება. 12 ივლისი, 1989 წელი, გვ. 11).

კითხულობ ამ სისხლისმსმელი პოლიტხელის მიერ „შექმნილ“ წინამდებარე სტრიქონებს და იმთავითვე თვალწინ გესახება გ. ქიქოძის „თანამედროვის ჩანაწერები“: „სიკვდილმისჯილთ შესაძლებლობა არ ჰქონდათ საპყრობილეში მეგობრებთან საუბარი გაემართათ, თამამად

ასულიყვნენ ეშაფოტის ფიცარნაგზე, იქედან სიტყვა წარმოეთქვათ, ან მითუმეტეს, თავიანთი მტრები გაემასხარავებინათ. დატყვევებულთა ერთ ნაწილს კონვეირის სისტემით ხოცავდნენ, როგორც ხარებს ხოცავენ ჩიკაგოს სასაკლაოზე, ხოლო მეორე ნაწილს შრომის ბანაკებში გზავნიდნენ, სადაც მათ ნელა-ნელა ჩაფერფლა ელოდათ აუტანელი შრომისა და საკვების ნაკლებობის გამო" (მნათობი. 1989 წ. №1, გვ. 39).

გურიის დარბევა-აწიოკებაში და „გოგია ღლონტის რაზმის" წევრების ძებნაში საშა ობოლაძეს გვერდში ამოუდგა „დედუშკა" ნესტორ კალანდარიშვილის ნამდვილი „სისხლი და ხორცი", მანამდე ჩეკას ერთ-ერთი მთავარი რეზიდენტი შორეულ აღმოსავლეთში პლატონ კალანდარიშვილი.

პლატონ კალანდარიშვილმა ჯერ კიდევ 1898 წელს მოკლა გურული მემამულე, ვაჭარი და მევახშე გერასიმე ჯაყელი (მმმფ. საქმე №129). 1899 წლიდან მისჯილი ჰქონდა ციმბირში სამუდამოდ გადასახლება. 1900 წელს ქ. კრასნოიარსკიდან გამოპარული ფარულად იმალებოდა ქ. ირკუტსკში 1902-1903 წლებში. იგი „ფულით, ბინით, არალეგალური ლიტერატურით ეხმარებოდა „შორეულში" გადასახლებულ პოლიტიკურებს: ილიკო ელბაქიძეს, სპირიდონ მკურნალს, ვანო ალიხანაშვილს, ვ. ჩხაიძეს, ვ. ცაბაძეს, პ. კალანდაძეს, „პროლეტარიატის დიდ ბელადსა და მასწავლებელს" ი. ბ. სტალინს" (მმმფ. ს.№129. გვ. 2).

1904 წლიდან მან ქ. ხარბინში ჩამოაყალიბა საიდუმლო ორგანიზაცია. 1905 წლიდან სუნგარაზე და სადგურ „ლაგაშოვში" ეწეოდა რევაგიტაციას მეომარ ჯარისკაცებს შორის. 1905 წლიდან ექიმ დავით კილურაძესთან ერთად შეადგინა „წითელი რაზმი". 1907 წლიდან ქ. ირკუტსკში პლატონ კალანდარიშვილის ბინაზე იმალებოდა რევოლუციური მუშაობისათვის საქართველოდან დევნილი ნესტორ კალანდარიშვილი, ბეჟან ბერეჟიანი, გიორგი მიქელაძე, პლატონ ბაქრაძე. პლატონ კალანდარიშვილი აქტიური წევრი იყო ნესტორ კალანდარიშვილის ტერორისტული რაზმისა. პირადად იცნობდა

ირკუტსკის ციხეში ჩამოყვანილ თედო სახოკიას, მფარველობას უწევდა ფრუნზეს, ძერჟინსკის, აგრეთვე ცნობილ გურულ ტერორისტებს: ანტონ ლომჯარიას, მოსე ტუღუშს; სამოქალაქო ომის წლებში იყო ნესტორ კალანდარიშვილის „მარჯვენა ხელი", აწარმოებდა „თეთრების ჯარში დაზვერვებს". ირკუტსკში საგანგებოდ ჩამოსულ ცნობილ ჩეკისტთან ტიხომიროვთან ერთად მიაგნო თეთრგვარდიელთა არალეგალურ შტაბს. მისივე გადმოცემით: „როდესაც ჩეკა არალეგალურ ბინაში შევიდა, იქ აღმოჩნდნენ: ერთი გენერალი თავისი ქალიშვილით და ერთი მღვდელი. სახლის პადვლის გაჩხრეკის დროს აღმოჩნდა საიდუმლო ტელეფონი, რომელიც გაყვანილი იყო ბინის ქვეშ ტყეში სოფელ ხედიაკოვამდის ქალთა მონასტერში, სადაც თეთრების არალეგალური სამხედრო ბანაკი იყო. ზემოთ აღნიშნული თეთრების არალეგალური სამხედრო ორგანიზაციის აღმოჩენისა და ამ საქმეში თეთრების დაპატიმრებისათვის, თეთრების ლიკვიდაციით თავიდან საფრთხის აცილებისათვის აღმოსავლეთ ციმბირის ხელისუფლებამ (ჩეკას განყოფილებამ), კერძოდ, ამხანაგმა ბელოვმა დამასაჩუქრა „ნაგანის" სისტემის რევოლვერით, იარაღითა და ვაზნებით.

1921 წელს ნესტორ კალანდარიშვილის დავალებით მე წამოვედი საქართველოში. ჩემი ციმბირიდან საქართველოში წამოსვლისას ციმბირის მთავრობამ მომცა საგანგებო ვაგონი, მაგრამ აქა-იქ სამოქალაქო ომის ნაშთები ჯერ კიდევ იყო და დიდი გაჭირვებით ჩამოვაღწიე საქართველოში... წავედი ჩემს სოფელ მაკვანეთში, აქ მალე შევადგინე მეზობელი გურულებისაგან იაჩეიკა, რომლებსაც გავაცანი ციმბირის სამოქალაქო ომის ამბები და ვურჩევდი მათ, რომ ისინი ერთგულები ყოფილიყვნენ ბოლშევიკური ხელისუფლებისა.

1922 წელს, როდესაც ამხ. საშა ობოლაძე გურიაში ჩამოვიდა ბანდიტების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაშინვე მივედი მასთან და ვმუშაობდი ბანდიტების წინააღმდეგ მებრძოლ რაზმთან. საშა ობოლაძის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ ვალიკო ტალახაძე ჩამოვიდა, ტალახაძის

ადგილზე და მასთან კავშირში ვმუშაობდი ბანდების ლიკვიდაციამდე. ამ დროს ციმბირის მე-5 არმიის რევოლუციური შტაბის მოწერილობა მოუვიდა საბჭოთა საქართველოს მთავრობას, რომ მე იქ ვარ საჭირო... მთავრობის დავალებით ვალიკო ტალახაძემ მომცა კერძო ვაგონი და მე ჩემი ცოლ-შვილით ირკუტსკში ჩავედი.“ (მმმფ. საქმე № 122. გვ. 36-37).

გოგია ღლონტი ახლობლებით (პარიზიდან გამოგზავნილი ფოტო შეერთებული ოჯახურ ალბომთან).

„კონვეიერული სისტემით“ ჟლეტა

ასეთი აქტივისტებით ზურგგამაგრებულ საშა ობოლაძეს სასაცილოდ არ ყოფნიდა „მენშევიკური ბანდის“ მეთაურის - გოგია ღლონტის შემონათვალი: „დატოვე ოზურგეთი და წადი, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებო“.

როგორც გერონტი ქიქოძე აღნიშნავს: „ერთმა ჩეკისტმა, გვარად ობოლაძემ გურიაში მრავალი სოციალ-დემოკრატი გლეხი დააჭერინა და დაახვრეტინა, როდესაც ის დღისით, ლეხოურიდან, სადაც მრავალ სახლს მისი განკარგულებით ცეცხლი ჰქონდა წაკიდებული, ასი შეიარაღებული მხედრის ამალით ოზურგეთში ბრუნდებოდა, ეტლში შეუვარდა ყოფილი გვარდიელი გოგია ღლონტი, რომელიც ცოლით ტყეში იყო გაევარდნილი, მოკლა ობოლაძეც და მის გვერდით მჯდომი ოფიცერიც და უვნებლად მიიმალა“ (მნათობი. 1989 წ. №1).

ლოლა ღლონტის გადმოცემით: „გოგიე ღლონტის ძებნაში ობოლაძემ სოფელი ქაქუთი აიკლო. ხავთასის სახლი გადაწვა, ყველაფერი მოაოხრა. გული იჯერა მშვიდობიანი მოსახლეობის დასჯითა და ოზურგეთისაკენ გამოემართა ფაიტონით, მარჯვნივ სანიკიძე იჯდა, მარცხნივ ჩუბინაშვილი, თვითონ შუაში იჯდა საიმედო ადგილას. ფეხებში ჩხაველრის ღვინით სავსე ჭარიკა ჰქონდა ჩადგმული და ხელში გიტარა ეჭირა“.

დოდო ხავთასის გადმოცემით: „სოფლის ბოლოს ქაქუთში ცხოვრობდა პლატონ და ლისა ხავთასების 8 სულიანი ოჯახი: - შვილებით ილია, თედორე, ელენე, სამსონი, ვანო და გიორგი.

მათ ოჯახში ხშირად თავს იყრიდნენ ეგრეთწოდებული „მენშევიკების“ ჯგუფის წევრები და ბჭობდნენ მომავალზე.

ამ ჯგუფს შემოუერთდა საეჭვო პირები კიკნაძე და სანიკიძე, რომლებმაც შემდეგში გზა მიასწავლა ბოლშევიკებს. ერთ დღეს, როცა პლატონი, ლისა, ილია და გიორგი (სხვა დანარჩენი შვილები სამსონი,

ელენე, თედორე და ვანო იყვნენ სკოლაში) იმყოფებოდნენ სახლში, მოულოდნელად თავს დაესხა ობოლაძის 100 კაციანი რაზმი, რომლებმაც ცეცხლი წაუკიდეს საცხოვრებელ სახლს, ბეღელს, ნალიას, დააპატიმრეს პლატონი, ლისა და ილია, ხოლო ამ არეულობის დროს უგზო-უკვლოდ დაიკარგა პატარა გიორგი. დაპატიმრებულები ბორკილებით წამოიყვანეს ფეხით, თითონ კი წამობრძანდნენ ეტლით, გამოიარეს ლიხოურის თემში, ჩაატარეს თათბირი და მოუწოდეს სოფლის მოსახლეობას მხარი დაეჭირა მათთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ოჯახს ეწეოდა ხავთასების ბედი.

ხავთასების ოჯახის ტრაგედიას თვალს ადევნებდნენ ტყის პირას ჩასაფრებული მენშევიკები, სასწრაფოდ შეადგინეს ობოლაძეზე თავდასხმის გეგმა, არჩევანით ობოლაძის სიკვდილი დაევალა გოგია ღლონტსა და თედორე ლომჯარიას. სერზე და ანასეულზე დაბანაკდა გ. ღლონტის 50-50 კაციანი რაზმი. მათი გეგმა ასეთი იყო: - ლიხაურისა და ანასეულის კვეთაზე ისინი მოულოდნელად თავს უნდა დასხმოდნენ ობოლაძის რაზმს, შემდეგ მათ უნდა შეერთებოდა სერზე და ანასეულზე დაბანაკებული ღლონტის რაზმი, ამით რაზმში უნდა შეეტანათ არეულობა, თითქოს მთელი რაიონი უპერდა მხარს გოგია ღლონტს.

მართლაც გოგია ღლონტი და თედორე ლომჯარია მოულოდნელად თავს დაესხნენ ფაიტონში მჯდომ ობოლაძეს, ჩუბინიშვილსა და სანიკიძეს. გოგიამ მხნედ შესძახა სანიკიძეს გადმოსულიყო ფაიტონიდან, მაგრამ ობოლაძემ ეტლიდან გადმოსვლაზე სანიკიძეს უარი უთხრა. მან მოულოდნელად ესროლა გოგია ღლონტს და დასჭრა მხარში. გოგიამ ბომბი დაახალა ეტლში მჯდომთ და სამივენი გამოასალმა სიცოცხლეს.

ობოლაძის რაზმის წევრებმა (მგონი ერთი იაკინთე ქილიფთარი) წამოიყვანეს დაპატიმრებულები და ჩასვეს ოზურგეთის საპყრობილეში. მეორე დილით საპატიმროდან გამოიყვანეს. ილია წაიყვანეს მოდანახის სასაფლაოზე და მშობლების თანდასწრებით დახვრიტეს, ხოლო მეორე დღეს დახვრეტილი იქნა პლატონი. ჩვენთვის უცნობმა პირებმა მამა-

შვილს გახადეს მარჯვენა ფეხზე ფეხსაცმელი, რათა ნიშანი დაედოთ, რომ ადვილი ყოფილიყო მიცვალებულების გამოცნობა. რამდენიმე დღის შემდეგ მეზობლებმა ილარიონ ზოიძემ, ივანე ბერაძემ, სანდრო და ივანე ქავთარაძეებმა მოიპარეს მიცვალებულები და-ურმით გადაასვენეს სოფელში, ხოლო ლისა ივანეს ასული ხავთასი ბოლშევიკურმა თემიდამ ექვსი თვით მოათავსა მეტეხის ციხეში.

ქაქუთში საგვარეულო სასაფლაოზე განისვენებენ ხავთასების ტანჯული წინაპრები. გული გეტკინებათ 1923 წელს ოჯახის ხოცვა-ჟლეტის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ პატარა გიორგის უსურათო სასაფლაოს ხილვაზე...

ხავთასების მოვერაგების შემდეგ ობოლაძე მშვენიერ ხასიათზე იყო. თან ასი ცხენოსანი მიუძღოდა ფაიტონს, ნაწილი წინ და ნაწილი უკან. გვერდებსაც მილიციონერების „ცეპი“ ჰქონდა შემოვლებული. გოგიე მისი რაზმით კვაჭალათთან (ადგილი ექვთიმე თაყაიშვილის მშობლიურ სოფელ ლიხაურსა და ოზურგეთს შორის) იყო ჩასაფრებული, რაზმელებმა საფარიდან ჯარს ბომბები დააყარეს, დაბნელდა ყველაფერი, ჯარი გაიფანტა. სანიკიძე და ჩუბინაშვილი ფაიტონში ჩაკლეს. ობოლაძემ მოასწრო გადმოხტომა და საფარში ჩაწვა. ერთდროულად ესროლეს ერთმანეთს გოგიამ და ობოლაძემ, ტყვია ტყვიაში გაცვალეს. გოგიას მხარში მოხვდა ტყვია, ობოლაძეს წარბში. გოგიამ კბილით მუხლებში ჩადებული ბომბი გახსნა და ობოლაძეს ესროლა. ორმეტრიანი მხეცი ჰაერში აიზღვართა“.

საშა ობოლაძის სიკვდილით გულდათუოქული გაზეთი კომუნისტი 1923 წლის 16 თებერვალს „მგლოვიარე“ საქართველოს აუწყებდა:

„ენშევიკები 1923 წლის თებერვალში შეუერთდნენ გურიაში არსებულ ბანდიტებს და მათი საშუალებით სიცოცხლეს გამოასალმეს: საშა ობოლაძე, დათიკო ჩუბინაშვილი და პოლიკარპე სანიკიძე.

საშა ობოლაძე 1903 წელს ჯერ კიდევ 17 წლის ნორჩი ახალგაზრდა რკინიგზის სახელოსნოში იწყებს რევოლუციურ მუშაობას, ხოლო

შემდეგ არალეგალურ სტამბაში ბეჭდვით საქმეში ჩაბმული ეწეოდა დაუღალავ შრომას რევოლუციის მომზადებისათვის. 1904 წლიდან საშა ობოლაძე ბაქოშია. აქ იგი მხარში ამოუდგა ბაქოს პროლეტარიატს, აქ მან მოაწყო არალეგალური სტამბა, 1905 წელს იგი ბრუნდება საქართველოში და აქტიურ მონაწილეობას იღებს რევოლუციაში. საქართველოს მრავალ კუთხეებში ააგიზგიზა საშა ობოლაძემ რევოლუციის ხანძარი, რის გამოც საშას აპატიმრებენ და შორეულ ეტაპში გზავნიან. უკანასკნელად საშა ობოლაძე სამოსწავლო ათასეულის სახალხო კომისარი იყო. საშა ობოლაძე პარტიის დავალებით გაგზავნილი იყო ოზურგეთის მაზრაში. იგი იქ 12 თებერვალს მხეცურად მოკლა მენშევიკურმა ბანდამ.

იმავე დღეს მენშევიკ-ნაძირალებმა სიცოცხლეს გამოასალმეს დათიკო ჩუბინაშვილი. გასაბჭოების პირველი დღიდან დათიკო შედის წითელი არმიის რიგებში, მან გამოიჩინა ბოლშევიკური სიფხიზლე და თავდადება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ყაჩაღთა ბრბოს განადგურებაში. მისი ხელმძღვანელობით განადგურებული იქნა ჩოლოყაშვილის ბანდა კახეთში. ამის შემდეგ დ. ჩუბინაშვილი გაგზავნილი იქნა გურიაში სამუშაოდ. გურიაში 1923 წლისათვის არსებობდა დიდი ბანდა, რომლის დიდი ნაწილი მის მიერ დაპატიმრებული იქნა, ნაწილი განადგურებული, 1923 წლის 12 თებერვალს დ. ჩუბინაშვილი ს. ობოლაძესთან და პ. სანიკიძესთან ერთად მოკლული იქნა მენშევიკ ბანდიტთა მიერ.

პოლიკარპე სანიკიძე დაიბადა 1893 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ სურებში, საშუალო განათლება მან მიიღო კადეტთა კორპუსში, სადაც 1914 წელს დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, 1914 წელს გერმანიის ფრონტზე ორჯერ იქნა დაჭრილი. 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იგი შედის წითელი არმიის რიგებში, მხურვალე მონაწილეობას იღებს ჩოლოყაშვილის კონტრრევოლუციური ბანდის განადგურების საქმეში კახეთში. მან ჩააქრო გამოსვლები ხევსურეთში,

ხოლო უკანასკნელად გაგზავნილი იქნა მენშევიკური შაიკის წინააღმდეგ საბრძოლველად გურიაში, სადაც იგი დ. ჩუბინაშვილთან და ს. ობოლაძესთან ერთად მოკლული იქნა.

ძნელი იყო საქართველოს კომუნისტური პარტიისათვის სამი დიდი მებრძოლის ვერაგულად დაღუპვა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტმა წინადადება მისცა საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ყველა ორგანიზაციებს დაღუპულ მებრძოლთა პატივსაცემად დღის 2 საათზე მოიყარონ თავი რაიკომთან და სამ საათზე გამწკრივდნენ რუსთაველის პროსპექტზე ქალაქის კომენდანტის ჩვენების მიხედვით.

დიდი მებრძოლების ს. ობოლაძის, დ. ჩუბინაშვილის და პ. სანიკიძის დასაფლავებაში თბილისის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მიიღო მონაწილეობა და წყევლა და ზიზღი გაუგზავნა მკვლელებს ასეთი სამარცხვინო აქტისათვის.

გურიაში მენშევიკ-ბანდიტთა გამოსვლის ორი დღით ადრე მათი მსხვერპლი გახდა კომუნისტი სერგო ჩხაიძე. ს. ჩხაიძემ არალეგალური პარტიული მუშაობა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე დაიწყო. პარტიის დავალებით ს. ჩხაიძე სოფელ აცანაში მუშაობდა. პარტია მას თვლიდა ერთ-ერთ საუკეთესო მუშაკად. მისი ხელმძღვანელობით დაირაზმა სოფ. აცანელი გლეხობა პარტიის წითელი დროშის ქვეშ.

გასაბჭოების პირველ დღიდანვე ს. ჩხაიძე იყო აცანის რევკომი, შემდეგ აცანის აღმასკომის თავმჯდომარე, მთელი თავისი სიცოცხლე მან შეესწირა პატარა სოფლის კეთილდღეობას. მან ბევრი რამ ააშენა და გააკეთა აცანაში. ამიტომ იგი უყვარდა ხალხს და მთელი სამი წლის მანძილზე ირჩევდა ხელისუფლების სათავეში. 23 აგვისტოს მენშევიკები მას თავს დაესხნენ საკუთარ ქოხში. მან გზა სროლით გაიკაფა და ჩამოვიდა ოზურგეთში, მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლა გაქცეულ მენშევიკებს არ შეუწყვეტიათ. იგი მოკლული იქნა მათ მიერ."

„გარდა ზემოთ აღნიშნულისა, - იუწყებოდა გაზეთი „კომუნისტი"

(1923 წ. № 189), - 1923 წლის 3 აგვისტოს ღამის 12 საათზე კონტრრევოლუციურ შეიარაღებულ ბანდასთან ბრძოლაში სოფელ დვაბზუში დაიღუპა კომუნისტური პარტიის ერთგული წევრი, კომუნისტური საქმისათვის თავგანწირული მებრძოლი დიმიტრი თავართქილაძე. დ. თავართქილაძე ღამით წააწყდა გაბოროტებული მენშევიკური ჯგუფის ვიწრო სხდომას, სადაც მონაწილეობდნენ ცნობილი ბანდიტები კვაშალი და ერქომაიშვილი. მათთან ბრძოლაში მოკლული იქნა“.

საშა ობოლაძის, დ. ჩუბინიშვილისა და პ. სანიკიძის სიკვდილის შემდეგ ოზურგეთის მაზრაში დაიწყო მანამდე ჯერ არნახული „წითელი ტერორი“. გერონტი ქიქოძის ცნობით საშა ობოლაძის მოკვლის „– საპასუხოდ საგანგებო კომისიამ დახვრიტა 30-მდე კაცი, უმთავრესად სოფლის მასწავლებლები, რომელთაც არც ობოლაძისა და ღლონტის გვარები გაგონილი არ ჰქონდათ“ (მნათობი, 1989 წ. №1, გვ. 28).

ცნობილია გოგია ღლონტის ჯგუფის მიერ ობოლაძის ჯგუფის განადგურება ლიხაურში - წერს პროფესორი იოსებ მეგრელიძე და ასახელებს სიმონ გოგიბერიძის წიგნს „ბრძოლა სამშობლოსათვის“ (პარიზი. 1938 წ. თბილისი 1991 წ.). „საპასუხოდ ჩეკამ ოზურგეთის ციხიდან გაიყვანა 13 უდანაშაულო პატიმარი და საღამოს ობოლაძის თავდასხმის ადგილას დახვრიტა. მათ შორის იყო ხიდისთაველი 20 წლის ისიდორე კალანდაძე, რომლის ძმა გოგია (მეტსახელად პაატა) იმალებოდა, ისიდორეს გვამი კალანდაძეებმა მოიპარეს.

ოზურგეთში ხიდისთაველები ჩერდებოდნენ თანაკუთხელ სამსონ გოგიბერიძის სამკედლოში. ამბის გაგებისა და მამისათვის სურათის გადასაცემად მეც ოზურგეთში ვიყავი. უკან წამოსვლის საშუალება არ ჩანდა. მკედელმა მითხრა: ჩოლოქიდან მეყანეების ურმები გამოიცვლის და გაგაყოლებენო.

გამოჩნდა ურემი, თითოეულზე ყანის გათოხნისას გამოჭრილი სიმინდის ნედლი ჩალა ეყარა, მეურმეებმა შემაქეს: ნამდვილი ვაჟკაცი ხარ, ამ ურემს გაყევიო. თუ გკითხონ, საიდან ხარ? - უპასუხე ჩოლოქიდან

მოვდივართო. ერთ-ერთ ასეთ ურემზე ურმის პატრონის 16-17 წლის ბიჭთან დამსვეს. ღამით ვიმგზავრეთ ბახვის გზით. მეურმეები უკან მოშორებით მოდიოდნენ. გზაში თოფიანი კაცები გვხვდებოდნენ: სად არიან მეურმეებიო, - გვეკითხებოდნენ ხოლმე, ეგერ მოდიან უკანო, - ვპასუხობდით ჩვენ. ასეთი დარაჯები ყოველ მოსახვევში იდგნენ...

ორი ურმით ბახვის გზით ბასილეთიდან ხადისთავის გზაზე რომ გავედით, მეზობელი კაცები დაგვიხვდნენ, მე შინ გამიშვეს და ურემი წაიყვანეს. თურმე მასზე ჩალის ზვინის ქვეშ ესვენა ისიდორე კალანდაძე...

დასჯილი რაზმებისაგან ახალგანთავისუფლებულ გურიაში ტალახაძე ჩამოვიდა ისევ დამსჯელი რაზმებით, გურია ააწიოკეს. თოფებს ვეძებთო, ოჯახებს ჩხრიკავდნენ; მასპინძელთან სტუმარი დამეს ვეღარ ათევდა. მანამდე სოფლებში საღამოობით უბან-უბან რომ ერთობოდნენ, ესეც აიკრძალა. მზის ჩასვლის შემდეგ სახლიდან გასვლა აღარ შეიძლებოდა...

იმავე დროს ოზურგეთშივე ექადიის მთის ძირში (ერთგან წერია: თბილისში, მეტეხიდან გაიყვანესო) დახვრიტეს 92 გურული, რომელთა შორის 6 ასკანელი ასათიანი იყო" (გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი". 31.08.1991 წ. №100-101.)

ამასვე ადასტურებს ვლასა მგელაძეც:

„... ობოლაძის მოკვლით გაბოროტებულმა ხელისუფლებამ ლანჩხუთის, ოზურგეთის და თფილისის ციხიდან გამოიყვანა დატუსაღებული გურულები ოთხმოცდათორმეტი კულტურული შვილი დახვრიტა, ერის მოამაგე მამულიშვილები მოსპო" (რუსეთის მობრუნება საქართველოში, გვ. 48).

ბოლშევიკური ცეკას გადაწყვეტილებით „გოგია ღლონტის" საქმეზედ ჩეკამ შეადგინა სია 1923-1924 წლების ავანტიურაში მონაწილეთა, რომლებიც საშა ობოლაძის „სულის საოხად" წითელმა ტერორისტებმა გაგზავნეს მოუსავლეთში:

ჩიტაიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე - დაბადებული 1898 წ., გლეხის ოჯახიდან, ქ. ოზურგეთი, პროფესიით მიწათმოქმედი, უკანასკნელ

დროს მსახურობდა პედაგოგ მათემატიკოსად ოზურგეთის სასწავლებელში. მენშევიკური პარტიის წევრი 1917 წ. ცხოვრობდა არალეგალურად.

მამა ალექსანდრე სოფრომის ძე, 63 წ. მიწის მუშა

დედა მარინა არტემის ასული, 52 წ. დიასახლისი

ძმა გური, 20 წ., ოზურგეთში ცხოვრობდა

ძმა შალვა, 23 წ., სტუდენტი, იმყოფებოდა ტფილისში (ს/ს 901).

თვარაძე თეოფანე კაკოს ძე - 39 წლის, გლეხობიდან, სოფელი უსახელო, ლანჩხუთის მაზრა, პროფესიით შავი მუშა, ბოლო დროს მუშაობდა უსახელოს სოფლის მეურნეობაში.

ცოლი ფეოდოსია გრიგორის ასული 32 წ.

ქალიშვილი ვერა, 14 წლის

ქალიშვილი ნინა, 12 წლის

ვაჟი გრიგორი, 7 წლის

ვაჟი სერგო, 5 წლის, მცხოვრები სოფელ უსახელოში (ს/ს 2234).

გორდელაძე აგაფი მაქსიმეს ძე - 26 წლის, მცხოვრები სუფსაში, ოზურგეთის მაზრაში. პროფესიით მკერავი, მცხოვრები ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. 3. არავინ არა ჰყავს.

ზოიძე ალექსანდრე ქიშვარდის ძე - 19 წლის, დაბადებული ოზურგეთში, გლეხობიდან, ბოლო დროს მუშაობდა ნატანების ქარხანაში.

მამა ქიშვარდი, 54 წ., მიწათმოქმედი

დედა მარია, 45 წლის, დიასახლისი

და სონია, 30 წლის, მცხოვრები ს. ლანჩხუთში. პირველი ორი სოფელ ნატანებში (ს/ს 1600)

ჩხეიძე სევერიანე ლუკას ძე - 26 წლის, მცხოვრები ოზურგეთში. მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1917 წლიდან, პროფესიით ასოთამწყობი. მუშაობდა ტფილისში 1921 წლამდე. ხოლო შემდეგ იმალებოდა ტყეში.

მამა ლუკა, 70 წლის

დედა ელიზავეტა, 70 წლის

ცოლი ოლგა, 20 წლის, ძმა გერმანე, 35 წლის, მუშაობს სოფლის მეურნეობაში ოზურგეთში (ს/ს 1372)

სოიძე ისიდორე ივანეს ძე - 20 წლის, გლეხობიდან, ს. სამხთო, ოზურგეთის რაიონი, დაკავებული სოფლის მეურნეობაში ს. სამხროში.

მამა ივანე, 60 წლის

დედა პელაგია, 45 წლის

ძმები ეპიფანე, 20 წლის

ოლიფანტე, 17 წლის, მცხოვრები სოფელ სამხთოში (ს/ს 1600)

მკურნალიძე კირილე თედორეს ძე - დაბადებული 1907 წ. მცხოვრები სოფელ ნატანებში, დაკავებულია სოფლის მეურნეობაში

მამა თედორე, 45 წლის,

დედა თედორია, 50 წლის, მცხოვრები სოფელ ნატანებში (ს/ს 1600).

მუჯირი ნიკიფორე ლევანის ძე - დაბადებული 1887 წ. ნატანებში გლეხობიდან. დაკავებულია სოფლის მეურნეობაში

მამა ლევანი, 80 წლის

დედა პაშა, 60 წლის

ცოლი ეგზაქოს, 32 წლის

ძმა პორფირი, 29 წლის, მცხოვრებნი სოფ. ნატანებში (ს/ს 1600)

მალაზონია კანელიკ ვასილის ძე - დაბ. 1896 წელს გლეხობიდან სოფელი ნატანები. მუშაობდა სოფლის მეურნეობაში.
მამა ვასილი, 70 წლის
ძმა იოსებ, 35 წლის, ოზურგეთი
დები ვასასი, 32 წლის, ვერა, 25 წლის

არუშიძე გრიგოლ ერასტის ძე - 22 წლის, მცხოვრები ოზურგეთში. დაპატიმრებამდე სწავლობდა ტფილისში, ცხოვრობდა ბელინსკის 9-ში, გლეხობიდან. 1919 წლიდან მარქსისტი, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი.
მამა ერასტი, 65 წლის, გლეხი
დედა მარია, 45 წლის, გლეხი
ძმები ვასილი, 26 წლის, გლეხი
ალექსანდრე, 16 წლის, მოსწავლე
და ეკატერინე, 28 წლის, მასწავლებელი, მცხოვრებნი ოზურგეთში (ს/ს 1294)

ფირცხელაშვილი გერასიმე მაქსიმის ძე - 21 წლის, დაბადებული სოფელ ვაგონთში, ოზურგეთის მაზრა. მარქსისტული ორგანიზაციის წევრი. სტუდენტი. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ტფილისში, ლერმონტოვის ქ. 15.
ძმა პარმენი, 24 წლის, სტუდენტი
და მარია, 26 წლის, დიასახლისი (ს/ს 1295)

ქარცივაძე დავით ერდიშხანის ძე - 42 წ. დაბადებული ოზურგეთში, მცხოვრები ტფილისში, კლოსიცესკაიას 14, მწერალი და პოეტი, ყოფილი პოლკოვნიკი, დაპატიმრებამდე მუშაობდა საქართველოს კოოპერატიულ ბანკში.
დედა ელპიტე ივანეს ასული, 60 წ. დიასახლისი

და თამარი, 24 წლის

ძმები გიორგი, 30 წლის; კონსტანტინე 38 წლის, ასოთამწყობი. მცხოვრები ტფილისში (ს/ს 1339)

მიქელაშვილი მალაქია რაჟდენის ძე - 36 წლის, დაბადებული ს. დვაბზუში, ოზურგეთის მაზრა. აგრონომი და კოოპერატორი. მენშევიკური ორგანიზაციის წევრი 1907 წლიდან. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ტფილისში, რეუტოვსკაიას 16, მუშაობდა ცეკავშირში ორგანიზაციის განყოფილების ინსტრუქტორად.

დედა ეპა, 58 წლის

ძმები თედორე, 23 წლის; ვლადიმერი, 21 წლის

და აგრაფინა, 38 წლის, მიწათმოქმედნი. მცხოვრებნი სოფელ დვაბზუში (ს/ს 1284)

სალუქვაძე გიორგი ალექსის ძე - 38 წლის, მცხოვრები არალეგალურად. წარმოშობით ოზურგეთის მხრიდან. თავისუფალი პროფესიის, 1903 წლიდან მენშევიკური ორგანიზაციის წევრი.

დედა ეკატერინე, 70 წლის, დიასახლისი

დები: ანა, 38 წლის, მცხ. ოზურგეთში; ვარვარა, 27 წლის; მარო, 20 წლის

ძმები: დომენტი, მიწათმოქმედი; დიმიტრი (ს/ს 1281)

სვანიძე გედევან დავითის ძე - დაბადებული 1895 წ. ს. ცხუპშერი ლანჩხუთის მაზრა, სტუდენტი, მენშევიკური პარტიის წევრი 1917 წ. მისამართი წყნეთის, 34

დედა პელაგია, 55 წლის, დიასახლისი, მცხოვრები ს. ცხუპშერში

ძმა ბიკენტი, 19 წლის, მიწათმოქმედი

და ბაბილონა, 30 წლის, დიასახლისი

ცოლი ნინა, 25 წლის, დიასახლისი, ტფილისი, წყნეთის, 34

შვილი გივი, 2 წლის (სჰს 1311)

იმნაძე სევერიან გიორგის ძე - დაბადებული 1901 წ. ქ. ლანჩხუთში გლეხობიდან, სპეციალობით ეკონომისტი, მენშევიკური პარტიის წევრი 1918 წ. მისამართი ქ. ლანჩხუთი

დედა აგათი, 45 წლის, დიასახლისი

მამა გიორგი, 68 წლის

დები: ოლია, 26 წლის; ეფემია, 19 წლის, მცხოვრებნი ლანჩხუთში (ს/ს 1300)

ღლონტი სიმონ ეფიმის ძე - 46 წლის, წვრილი მესაკუთრე გლეხობიდან, სოფ. მელექედური, ოზურგეთის მაზრა, სპეციალობით პარიკმახერი, დაკავებულია სოფლის მეურნეობაში. მენშევიკური პარტიის წევრი 1902 წლიდან, მისამართი სოფ. მელექედური, არავინ არა ჰყავს (ს/ს 137)

ღლონტი ივანე ბაგლარის ძე - დაბადებული 1888 წელს, გლეხობიდან, სოფელი გამოლმა მელექედური, საძოვრის უფროსი ოზურგეთში, მენშევიკური პარტიის წევრი 1904 წლიდან.

ცოლი ლეო, 33 წლის, დიასახლისი

შვილები: სოსო, 5 წლის; კუკური, 3 წლის; ტატიანა, 11 წლის

ძმა ამაიაკი, 62 წლის, მიწათმოქმედნი, მცხოვრებნი სოფელ გამოკამაში (ს/ს 673)

მენაბდე გიორგი სიოს ძე - 26 წლის, დაბადებული ოზურგეთში, გლეხობიდან, მოსამსახურე, მუშაობდა შიკრიკად, ცხოვრობდა ტფილისში, ანასტასიევის ქ. №13.

დედა ფეოდოსია, 55 წლის

დები: თამარი, 27 წლის, მასწავლებელი, მცხ. ბათუმში; ქეთო, 24 წლის, მცხ. ქუთაისში

ძმები: გრიგორი, 20 წლის, მცხ. ტფილისში; შაკო, 22 წლის,

მილიციელი, მცხ. დუშეთში, ნიკალა, 28 წლის, უმუშევარი (ს/ს 1373)

სადრაძე ილია ვასილის ძე - დაბადებული 1899 წელს, ქ. ოზურგეთში, მიწათმოქმედი, უკანასკნელ დროს დაკავებული იყო კომერციით. ცხოვრობდა ოზურგეთში, თავისუფლების ქუჩა № 25

მამა ვასილი, 60 წლის, მიწათმოქმედი

დედა მატრონე, 55 წლის, დიასახლისი

ძმები: ევგენი, 29 წლის, მიწათმოქმედი; ლეონიდე, 12 წლის, მოსწავლე, და მარგალიტა, ყველანი ცხოვრობდნენ ოზურგეთში, თავისუფლების 25 (ს/ს 1310).

ადამიანები მასიურად იხვრიტებოდნენ კონვეირული სისტემით. ოზურგეთის რაიონის სოფელ ზვანის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე, აწ განსვენებული შოთა კეკელიძე აღნიშნავდა: „მე მაშინ მოზრდილი ბიჭი ვიყავი, ხარებს ვამუშავებდი. ერთ ღამეს ლაითურიდან სარები მომქონდა ურმით. გვიანი ღამე იყო. ზვანში ამჟამინდელი მექანიკური კომბინატის გასწვრივ კრუპსკაიას ქუჩის დასაწყისში ხარები დავასვენე. გაისმა ყრუ გასროლა და მოკლე შეძახილი. ახლანდელი ჩაის ფაბრიკის ეზოდან (მაშინ იქ ტყე იყო) გამოდიოდა ხმა. შინსახკომს ერთი ოსი ჰყავდა ჩამოყვანილი, რომელიც მაუზერის გასროლით თავში ხვრეტდა დასჯილს. როგორც მეორე დღეს გავიგე, იმ ღამეს 60 კაცი დაუხვრეტიათ აღნიშნულ მიდამოებში. ზვანის უბნის ტერიტორიაზე რამდენიმე ასეული ადამიანია დახვრეტილი“ („ლენინის დროშა“, 31 ოქტომბერი, 1989 წ. გვ. 3).

ობოლაძის სიკვდილით განრისხებულმა „ჩეკამ“ დაიწყო ნადირობა გოგია ღლონტის ახლობლებზე. ნინა ღლონტი მოგვითხრობს: „მახსოვს, ჩვენი მეზობელი შოთა ტულუში მოიჭრა ჩვენსას და ჩურჩულით გვითხრა: „გოგიამ ობოლაძე მოკლა. ქვეყანა არეულია, არ მოგკლან, გაიქეცით, თავს უშველეთო“. სად უნდა გავქცეულიყავით, ან სად უნდა

დავმალულიყავით. მიწიდან ამოგვიღებდნენ. მალე ეზო ჩეკისტებით აივსო. მაშინდელ ნატანების ქუჩაზე იდგა ჩვენი სახლი, რვა თვალი იყო. ცეცხლი გაუჩინეს, ორი დღე ბოლავდა. ნასახლარზე დავრჩით ექვსი სული. ვინ დაგვეხმარებოდა. მეზობლები შიშით ჩვენსკენ გამოხედვასაც ვეღარ ბედავდნენ. ეზოში ნალია გვედგა. ნალიას ქვეშ გავატარეთ სამი ზამთარი. ახლაც მიკვირს როგორც გადავრჩით ცოცხლები. რაც გვებადა ყველაფერი წაგვართვეს. ეზოში ფიცრები გვეწყო, მდინარე ბეჟუეის ხიდის აგებას მოახმარეს. ჯოგი გვყავდა თავ ვაკიჯვარში ფიფიასთან

გაგვინადგურს. ბახმაროზე სახლი გვქონდა, ძველმა კომკავშირელმა ილარიონ აბაშიძემ იხელთა დრო: როგორ შეიძლება ყაჩაღის და ბანდიტის, მენშევიკ გოგია ღლონტის შთამომავლობა ისვენებდეს ბახმაროზეო, თქვა და აასრულა კიდეც, სანამ შეეძლო თვითონ ისვენებდა აგარაკ ბახმაროზე მდებარე ჩვენს სახლში. მერე სხვას აგზავნიდა, სეზონზე სამას მანეთად აქირავებდა." ობოლაძის ჯაერის ამოყარა ოზურგეთში ვალიკო ტალახაძემ იტვირთა და აღასრულა კიდეც. ვალიკო ტალახაძეში შერწყმული იყო ობოლაძის გულმხეცობა და „დარბაისელი" ჩეკისტის სიდინჯე. მუქარით და დაყვავებით, ცბიერებით და ტერორით ტალახაძემ შეძლო ოზურგეთის მაზრაში მოთარეშე „მენშევიკური ბანდების" ლიკვიდირება. რაც შეეხება თვით გოგი ღლონტს და მის რაზმელებს, მომავალმა „წითელმა პროკურორმა" და „ტროიკის" ერთ-ერთმა სახელოვანმა წევრმა მაინც ვერ შეძლო ჩეკას მიერ დაგებულ კაკანათში მათი შეტყუება და გაბმა. თუმცა როგორც მისი ძმისშვილი ნინა ღლონტი გადმოგვცემს, რაზმშიც გაუჩინა „ჩეკამ" შპიონები. ვ. ჩ. სოფელ მერიაში ეტლში მოკლა გოგიამ, ხოლო ფ. მ. გოგიას საზღვარგარეთ წასვლის შემდეგაც არ იშლიდა „ხელობას".

ნინა ღლონტი გადმოგვცემს: „გოგიამ ობოლაძე მოკლა, მაგრამ ჩვენც მოგვაყოლა ზედ, მამაჩემს დაკითხვა-დაპატიმრებაში და ცემაში ამოხადეს სული. დაუძახებდნენ, გალახავდნენ - შენ იცი სად იმალება შენი ყაჩაღი ძმაო. თავზე ყაბალახს ვეღარ იხდიდა, კონდახების ცემით

ჰქონდა ჩამტვრეული. სიკვდილით არ კლავდნენ, რადგან ფიქრობდნენ ცოცხალ ძმას გოგია აუცილებლად ნახავსო. ტარასი გოგიას სატყუარად ჰყავდათ, თორემ ვის ენაღვლებოდა. „ჩეკაში“ რომ დაიბარებდნენ, ჩვენ ზვანის ახლანდელ №1 ჩაის ფაბრიკასთან ვეძებდით, აქ ხვრეტდა ტალახაძე მაშინ ხალხს. რამდენჯერ გამიგონია იმ ადგილიდან მომაკვდავი კაცის ყვირილი: „რატომ მკლავთ, რას მერჩითო“. მე და დედაჩემი მკვდარს ვაბრუნებდით, პირსახეზე ვაკვირდებოდით, მამის ამოცნობა გვინდოდა. მახსოვს დედამ ერთი მკვდარი შენიშნა, მამაჩემის „პოლშუბკა“ ეცვა. გული წაგვივიდა, პირქვე ჩამხობილი კაცი ამოვატრიალეთ, შუალამე იყო, მე შემეშინდა, დედაც გონდაკარგული იყო. არ მახსოვს, როგორ მივაღწიეთ ჩვენი მეზობლის ივანე ჩოლაბარგიას სახლს. ოქრომჭედელი იყო. ის წამოვიყვანეთ. „პოლშუბკიანი“ კაცი მამა არ აღმოჩნდა. ობოლაძის მკვლელობის შემდეგ 2 დღე-ღამე დედაჩემთან ერთად მე და ჩემი და ვყავდით ციხეში გამომწყვდეული. მცირეწლოვანი და ავად იყო და ციხიდან გამოსვლის შემდეგ მალე გარდაიცვალა. ენა ადვილად იტყვის ამას, წერაც ადვილია, მაგრამ იმ დღეების გახსენება სიკვდილს უდრის. მელექედურში გადავდიოდით ჩვენებთან, მოიდანახის გავლით. ახლა რომ მოიდანახის სასაფლაოა, მაშინ იქ სასაკლაო იყო. იქაც ხვრეტდნენ ხალხს. გვამებს გვერდს ვერ აუვლიდი. დედა მეუბნებოდა არ შეგეშინდესო და გავრბოდით. როგორ არ უნდა შეგეშინებოდა, შიში და სიკვდილი თვალებში. გვიყურებდა“.

ლოლა ღლონტი გვიამბობს: „ყველაფერს დავიჯერებდი, მაგრამ ობოლაძეს თუ ვინმე მოკლავდა, არ მეგონა. საშინელი შესახედავი იყო, მაღალი, წითელი, მარტო მისი დანახვა დაამუნჯებდა კაცს. ჩემი ქმარი არსენაც გოგიას საქმეს გადაჰყვა, ვერ გაუძლო ამდენ ცემას. 4 წელი ყავდათ დამწყვდეული ციხეში. ლამაზი კაცი იყო. შინ რომ მოვიდა, სასაფლაოდან წამომდგარს ჰგავდა. ცოცხლების სიაში აღარ ეწერა. ხელზე და ფეხზე არც ერთი ფრჩხილი არ ჰქონდა. შიშველ ფეხებზე ჩეკმის ქუსლების კვალი აჩნდა. ხეირიანად არც დაგვლაპარაკებია, იტანჯა,

ისე ამოხდა სული“.

ობოლაძის მოკვლის შემდეგ გოგია გ`ეგვირალდა. სოფელ ასკანის მკვიდრი სამამულო ომის I ჯგუფის ინვალიდი ი. ნაცვალაძე გვიამბობს: „1923 წელი იყო, მაშინ მე ვიყავი ასე 7-8 წლის. ჩვენი სახლიდან ასე 40-50 მეტრის მანძილზე მალალტანიან თხილებში მე დავინახე შეიარაღებული კაცი და ქალი, ორთავენი ფეხზე წამოდგნენ. ალბათ ადრე შემნიშნეს და დარწმუნებულები იყვნენ, რომ ჩემგან არავითარი საფრთხე არ მოელოდათ, აუღელვებლად მიცქერდნენ და არც არაფერი უთქვამთ ჩემთვის. მე საჩქაროდ უკან გამოვბრუნდი, გამაკვირვა მხოლოდ იმან, რომ ქალი ვნახე შეიარაღებული. ქალსა და კაცს ეცვათ თითქმის ერთნაირი ტანსაცმელი შავი ბაცი მატერიით შეკერილი. ქალს ეცვა გულის ჯიბიანი გადასასკენელი მამაკაცური ბლუზა, შარვალი და შარვლის ზევიდან ქვედა კაბა, ფეხზე დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები. სახით პირმრგვალი, მოშავგვრემანო, ტანად საშუალო. წელზე ეკიდა ორი თხელი შავი ტყავით შეკერილი ბოხჩით მარჯვნივ და მარცხენივ რევოლვერი. იარაღზე მიბმული შავი ლამაზი ნაწნავი თასმები კისერზე ჰქონდა გადმოკიდებული. რევოლვერები ორივე ერთი სისტემის იყო „ნაგანი“. მარჯვენა ტარით უკან, მარცხენა ტარით წინ. ქალი წლოვანებით იქნებოდა 26-28 წლის. კაცი შავგვრემანი, შავი სქელი ულვაშებით, მომრგვალო პირისახით. საშუალო სიმაღლის მკვრივი და კუნთოვანი სხეულით, წლოვანებით 30-32 წლის. წელზე ეკიდა მრგვალი ბურთივით ტყავის ჩიხოლით ალბათ „ლიმონკა“, ნაბადქვეშ თვალი მოვკარი გაპრიალებულ ხის კოლოფს, „მაუზერის“ ტარს. იგი ხის ფოთლებში იყო მიმალული. სახლში დაბრუნებისთანავე მამაჩემს ვუთხარი ნანახის შესახებ. მანაც ასე მიპასუხა: ის გოგია ლლონტი და მისი ცოლიაო. თან გამაფრთხილა, არსად წამოგცდეს, თორემ ყველას ამოგვწყვეტენო.

მართლაც მრავალ საფრთხესთან იყო დაკავშირებული მაშინ ყაჩაღის შენახვა. ისინიც ისეთ ადგილს არჩევდნენ, სადაც ხალხი-მოსახლეობა სანდო იყო. ამავე დროს თავის შეფარებისათვის ბუნებრივად ხელსაყრელი

პირობები იყო. ჩვენ მაშინ ისეთ ადგილას ვცხოვრობდით, სადაც სამი მხრიდან, ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით სამ კილომეტრ რადიუსზე მოსახლეობა თითქმის არ არის.

რა ხიფათი შეიძლებოდა მოჰყოლოდა მაშინ ყაჩაღებთან კავშირს:

1. თუ მთავრობა და ჩეკა გაიგებდა - ან ციმბირი, ან ობოლაძე.

2. თუ შეტაკება მოხდებოდა ჩეკისტებსა და ყაჩაღებს შორის ამას შეიძლება მსხვერპლი მოჰყოლოდა ოჯახში ან მოსახლეობაში.

3. თუ რომელიმე ყაჩაღთაგანი შეეწირებოდა ბრძოლას, მაშინ ოჯახს დაბრალდებოდა „გაცემა“, ხოლო გაცემას თვით ყაჩაღებისაგან შურისძიება და ოჯახის ამოწყვეტა.

იმ ხანებში სოფელ მშვიდობაურში ოქროს ქედში ღალატითა და ჩასაფრებით თეოფილე ცქვიტინიძის ოჯახში მოკლეს პოლიტიკური მალული ვისიტი ნიკოლაშვილი, რომელიც არავითარ სათაკილო საქმეს არ ჩადიოდა. მთავრობას ემალებოდა და საკუთარ ეზოში ცოტ-ცოტას მუშაობდა. ეს მოხდა, როგორც მახსოვს, 1926 წლის მაისში ოთხშაბათ დღეს. სწორედ მომდევნო ოთხშაბათს ვისიტის ამხანაგები ეწვიენ ოჯახს, სადაც ვისიტი მოკლენ და შეეკითხნენ მასპინძელს თუ რატომ უღალატენ ახლო მეზობელს და მოაკვლევინეს, ქალიდან ასეთი პასუხი მიიღეს „ხახვსაც ვერ დაგვაჭრით კურტუმოზეო“. ცოლი და ქმარი იქვე მოკლენ და თავის გზას გაუდგნენ.

იმ ყაჩაღებს, რომლებიც არ ეწეოდნენ ძარცვას, ამორალურ საქმიანობას, საზოგადოების დიდი ნაწილი დიდ პატივს სცემდა: ბინით, საკვებით, მეგზურობითა და მეკავშირეობით.

ობოლაძის ჩამოსვლამ გურიაში დიდი მწუხარება, შიში და ზიზღი გამოიწვია, ეს იყო რაღაც კაციჭამია ურჩხული. ლანჩხუთში, როცა სოფლის მიმართულებით მიდიოდა, ასე დაუტრაბახია: „ერთი ჩავიარო ჯურუყვათში და ჩავხოცო ათი-თორმეტი კაციო“. ამის გაგონების შემდეგ გადაუწყვეტია გოგიას ობოლაძის და მისი ამალის განადგურება, რაიც ექადიის ტერიტორიაზე შეასრულა.

„ყოჩაღ გოგია, აგი ერთი ჯალათი კი მოაშორა ჩვენს ქვეყანასო“, ასე მოგვახარა მამაჩემმა.“



ობოლაძის, სანიკიძის და ჩუბინაშვილის ჩამოსვენება ოზურგეთში, 12 თებერვალი, 1923 წ.

ქართველთა ემიგრაციული საუფლო

ახლობელთა გადმოცემით ობოლაძის მოკვლის შემდეგ გოგია გურიაში დიდხანს აღარ გამოჩენილა. დამალვა ძნელი შეიქმნა. აღარავის ნდობა აღარ შეიძლებოდა. „ნასაკირალის ტყეში შევხვდით უკანასკნელად, - გვიამბობს ნინა ღლონტი, - შეიარაღებული იყო, მოშორებით ათამდე შეიარაღებული კაცი იცდიდა. ცოლი ახლდა, პისტი ქადეიშვილი, დაგვემშვიდობა, მერე თვალით აღარ გვინახავს. სტამბოლში გასულან. იქედან ალბათ საყარავაგათში მოხვდნენ. 1961 წლამდე მოგვდიოდა წერილები და სურათებიც. სურათსაც და წერილსაც მილიცია მოჰ-ყვებოდა უკან. არცერთი წერილი და სურათი აღარ შეგვრჩა. ერთა-დერთი სურათის გადარჩენა შევძელი მხოლოდ. ავიღე და ჩემს საგვარეულო სურათს შევუერთე. ასე შეერთებული გადავაღებინე ფოტოგრაფს და სამშობლოდან გადახვეწილი გოგია ღლონტი ამ „ოპერაციით“ კვლავ შინაურებში დავაბრუნე. გოგიას და რისიმე ქ. ოზურგეთში ახლანდელ გოგებაშვილის ქუჩაზე იყო გათხოვებული ირაკლი ნაკაიძეზე. ბაბინე იყო ვასილ ცომაიას ცოლი. ვაჟი ჰყავდათ ბაბინეს და ვასილის - ალექსი. ობოლაძესთან მორკინალი ბიძის მოსიყვარულე იყო დიდად. ბათუმში მუშაობდა, ხარაზი იყო ხელობით. გოგიას თურქეთში გადაყვანა დაედო ბრალად. ცოცხალს ვინ დატოვებდა. 15 დღის ცოლნათხოვი საკუთარ ოჯახში შებორკეს. მერე არც შინაურს, არც გარეულს აღარ უნახავს თვალითაც. გადაგზავნილი იქნა მოუსავლეთში „მიმოწერის გარეშე“. „ზემოთ“, სადაც ჯერ არს გაგზავნილ განცხადებაში ნინა ღლონტი ალექსი ვასილის ძე ცომაიას უკვალოდ გაქრობის შესახებ წერს: „ალექსი ვასილის ძე ცომაია მუშაობდა ბათუმში. იყო ხარაზი, ცხოვრობდა ოზურგეთში გოგებაშვილის ქუჩაზე, ჰყავდა 15 დღის მოყვანილი ცოლი.

დღისით მოვიდნენ დასაპატიმრებლად. სტაცეს ხელი, დაიჭირეს. ჩვენ მისი არაფერი არ ვიცით. ერთ დღეს ამბავი მოგვიტანეს, ოზურგეთის სადგურში მატარებელი ჩამოვიდა ხე-ტყით დატვირთული. ვაგონის ერთ მორზე ალექსი ცომაია აწერიაო, მაგრამ ვინ გაბედავდა შიშით სადგურში გასვლას? გვაცნობეთ რამე, იქნებ ცოცხალია ჩემი მამიდაშვილი. ახლა სიმართლის დროა, ძებნაში იქნებ კეთილი ადამიანები დამეხმაროთ". ალექსი ცომაიას იდუმალი გაუჩინარების ამბავი, მკვდარია თუ ცოცხალი იგი, ჯერ არ დადგენილა, თუმცა იქ დასადგენი და გამოსარკვევი არაფერია. ჩვენი ქვეყნის „კლასობრივი მტრები", რომლებიც შორეთში გადაგზავნეს და მორებზე აწერდნენ თავიანთ გვარ-სახელს, ცოცხალთა შორის აღარ ირიცხებიან, მაგრამ საქმენი მათი კეთილად ქმნილნი ცოცხლობენ კვლავაც. საშა ობოლაძის მიერ ცეცხლით დასეტყვილ გურიაში კი დღესაც ხმიანობს ერთ ფრთიანი ლექსი:

„ატყდა სროლა კვაჭალათზე,
ჩააძაღლეს ობოლაძე.
გურიაში რა გინდოდა
თუ სიკვდილი არ გინდოდა."

ხალხის ჟამაგი ბოგბია ღლონტი

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი

მხატვრული რედაქტორი
მურმან ჯანიშვილი

ტექრედაქტორი
ლალი ბიჯაშვილი

კორექტორი
მერი ვარდოსანიძე

გადაეცა ასაწყობად 8.11.91, ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.11.91, ქაღალდის ზომა 84X108 1/32, პირობითი-ნაბეჭდი თაბახი 2, 52, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2, 04, შეკვეთა 1987, ტირაჟი 12000.

ფასი სახელშეკრულებო

აიწყო კომპიუტერზე გამომცემლობა „მარიხში"

დაიბეჭდა საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობაში. „საშშობლოს" სტამბა. თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. №14